ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 2020 | №175 (8439) | ფასი: 60 თეთრი

ბაია მოაჯირიდან გადავარდა, გიორგი მის გადასარჩენად გადახტა, მაგრამ...

გვ.5

რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება

„საბურთალოზე ბევრად უფრო მნვავე დაპირისპირება იქნება, ვიდრე ვაკეში“

რამაზ საყვარელიძე: „საინტერესო ბრძოლა იქნება ისანში, სადაც ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ჰყავს გამოყვანილი „ქართულ ოცნებას“

გვ.3

„ვისაც ივანიშვილის დამარცხება უნდა, საბურთალოზე ოქრუაშვილს დაუჭერს მხარს“

გვ.3

გურამ ჩალაგაშვილი: „ხელისუფლება ამ არჩევნებზე 100%-ით შეიცვლება“

ვასილ მაღლაფერიძემ პირველი არხის გენერალური დირექტორის თანამდებობა დატოვა



გვ.2

გვ.2

ნიკა მელია: „დიდუბე-ჩუღურეთში ზურაბ ჯაფარიძეს ვუჭერთ მხარს, საბურთალოზე კი ჩვენს კანდიდატს არ ვაყენებთ“

„ყველა პარტიის რეიტინგი უნდა განისაზღვროს“

გვ.4

ლევან ჩაჩუა: „კრიმინალის ზრდაში ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვის“

გვ.4

გვ.5

შს მინისტრმა თბილისში დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორი და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება გახსნა

ISSN 1987-9385

2 გია ვოლსკი: „ხმებიც და ვითარებაც სწორედ ოპოზიციისგან არის დასაცავი“

4 თენგიზ ცერცვაძე – ბოლო პერიოდში ხალხმრავალი შეკრებების რაოდენობა გაიზარდა, რაც სახიფათოა, გავუფრთხილდეთ მიღწეულ შედეგს

5 4 ადამიანის ავარიაში დაღუპვისთვის დაკავებულ 25 წლის ქალს, პ.გ-ს, ბრალი წაუყენეს

6 შეიყვანს თუ არა პუტინი ჯარს ბელარუსში?!

ვასილ მაღლაფერიძემ პირველი არხის გენერალური დირექტორის თანამდებობა დატოვა

გუშინ, 18 აგვისტოს, საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა, ვასილ მაღლაფერიძემ თანამდებობა დატოვა.

ვასილ მაღლაფერიძემ შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა საქართველოს პირველი არხის სამეურვეო საბჭოს წევრებს.

ვასილ მაღლაფერიძის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„მიმაჩნია, რომ 2017 წლიდან საქართველოს პირველმა არხმა ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რაც განაპირობა ჩემი კოლეგების მაღალმა პროფესიონალიზმმა და გუნდურმა მუშაობამ. არხზე დავიწყეთ მაღალი ხარისხის მეგაშოუების, მუსიკალური და შემეცნებითი გადაცემების წარმოება, დავიწყეთ სერიალების გადაღება, შემოდგომაზე მაყურებელი ნახავს ორ ქართულ სერიალს და ეს პროცესი უწყვეტად გაგრძელდება. ასევე, დავიწყეთ ანიმაციური ფილმების გადაღება და შემოდგომაზე მაყურებელი იხილავს პირველ სეზონს, ოცსერიან ქართულ ანიმაციურ ფილმს ბავშვებისთვის. ვაგრძელებთ დოკუმენტური ფილმების და დოკუმენტური სერიალების გადაღებას. უკვე გამოვაცხადეთ სცენარების მიღება და ვიწყებთ მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმების გადაღებას.

რადიოს შესახებ – 2017 წლამდე, საქართველოს რადიოს სიგნალის მიღება იყო ძალიან რთული, მაგალითად, რადიოს პირველი არხის დაჭერა უკვე მცხეთაშიც კი შეუძლებელი იყო, რის გამოც მსმენელი კარგავდა არხის სმენის ჩვევას. წელს დასრულდა 27 ახალი ანძის მონტაჟი და დღეს საქართველოს რადიო ერთადერთია, რომელიც მაუწყებლობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის მაღალმთიან სოფლებში და ძირითად მაგისტრალებზე.

პირველი არხის ვებგვერდი 1ტვ.გე სულ რაღაც ორწელიწადნახევარში გახდა ერთ-ერთი ლიდერი საინფორმაციო სააგენტო მედიაბაზარზე. სექტემბერში მაყურებელი იხილავს ვებპროექტს „საქართველო 360“, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეეძლებათ, ვირტუალურად იმოგზაურონ საქართველოში. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან დააინტერესებთ როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, ამავე დროს, ძალიან დაეხმარება ახალ თაობას საკუთარი ქვეყნის გაცნობაში. უკვე ვასრულებთ მუშაობას და წლის ბოლოს გაიხსნება განსაკუთრებული სიახლე, ტელევიზია მობილურ ტელეფონში, ეს იქნება ფაქტობრივად მესამე არხი, რომელიც ახალგაზრდებზე იქნება ორიენტირებული.

უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია ტელესკოლის არხის გახსნა, დარწმუნებული ვარ, ამ არხზე ბევრ საჭირო და საინტერესო პროექტს ვიხილავთ. პირველი არხისთვის მუდმივ პრიორიტეტად რჩება, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობა სრულფასოვნად იყოს ჩართული მიმდინარე პროცესებში და ამ მიზნით გავხსენით მუდმივმოქმედი პროექტი – „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს სასწავლო ლაბორატორიას არაქართულენოვანი დამწყები ჟურნალისტებისთვის.

დაბოლოს ნიუსრუმის შესახებ – ტელევიზიის ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც დამხვდა, იყო სრულიად სავალალო მდგომარეობაში, მორალურად და ფიზიკურად ვადაგასული კამერები, არ იყო საკმარისი განათება, ძალიან ძველი მანქანების პარკი, ყველაზე დიდი სტუდია ჯერ სხვა ტელევიზიაზე იყო გაქირავებული (რაც სავალალო კურიოზია ნორმალური ტელევიზიის პირობებში), შემდეგ კი ტექნიკისგან დაცლილი და უფუნქციოდ მიტოვებული. და ამ მძიმე ფონზეც კი, კატასტროფულად მძიმე იყო ნიუსრუმის მდგომარეობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტები მუშაობდნენ სიცოცხლისთვის სახიფათო უჰაერობის პირობებში, ხოლო ტექნიკური აღჭურვის ხარისხზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ტელევიზიას არ ჰქონდა არც ერთი პირდაპირი ჩართვის აპარატი. დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს ტელევიზიის ტექნიკური გადაიარაღება, გავიარეთ ყველა აუცილებელი პროცედურა და რამდენიმე კვირაში, სექტემბერში დაიწყება ახალი, კომპაქტური და თანამედროვე ტექნოლოგიებთან თავსებადი შენობის მშენებლობა, რომელიც ორ წელიწადში დასრულდება და ქვეყანას ექნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტელევიზია.

აღსანიშნავია, რომ ყოველ წელს სულ უფრო მეტი გადაცემა გადის გარეწარმოებაში, რითაც საქართველოს ტელევიზია ეხმარება გარე სტუდიებს განვითარებასა და გაძლიერებაში. ტელევიზია ასევე მაქსიმალურად მონაწილეობს ქართული ფილმების წარმოებაში და, მათ შორის, განსაკუთრებულად ეხმარება დამწყებ რეჟისორებს.

საქართველოს პირველი არხის სტრატეგიულ კონცეფციად რჩება უსაფრთხო არხის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ტელევიზიამ მდაბიო უხამსობით არ უნდა ავნოს მაყურებელს, არხი აწარმოებს მხოლოდ გემოვნებიან და ხარისხიან პროდუქციას, ხოლო ნაყიდი პროდუქცია – ფილმები და გადაცემები გამოირჩევა მაღალი მხატვრული და შემეცნებითი ღირებულებით.

ხარისხიანი და გემოვნებიანი პროდუქციის წარმოებასთან ერთად, საქართველოს პირველი არხის მოვალეობაა, მიუკერძოებლად გააშუქოს პოლიტიკური პროცესები და საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს ეჭვი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო და ნებისმიერ ობიექტურ და თავად მიუკერძოებელ დამკვირვებელს შეუძლია დარწმუნდეს, რომ დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი არის მაქსიმალურად მიუკერძოებელი, ჟურნალისტები სარგებლობენ მაქსიმალური თავისუფლებით, და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობით არიან გამსჭვალულები, რათა მაყურებელს არ მიაწოდონ გადაუმოწმებელი და ყალბი ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პირველი არხი მიუკერძოებლად და პირუთვნელად გააშუქებს მომავალ არჩევნებსაც და ყველა სხვა პოლიტიკურ პროცესსაც, იქიდან გამომდინარე, რომ ვინმემ სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე, არ იპოვოს ეჭვის საბაბი და კითხვის ნიშნები არ დასვას არხის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, მივიღე გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ.

საქართველოს პირველმა არხმა უკვე გადალახა ძირითადი დაბრკოლებები და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა – 2020 წლის შემოდგომის სეზონი, რომელიც სექტემბერში დაიწყება, იმის დასტური იქნება, რომ არხის განვითარებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და სეზონიდან სეზონამდე განუხრელად მოიმატებს ხარისხიანი და გემოვნებიანი პროდუქციის წარმოება. არხი, რომელიც ხელოვნურად იყო ჩაყენებული წამგებიან ვითარებაში, რაც მას განვითარების საშუალებას არ აძლევდა, გამოვიდა ინერტული მდგომარეობიდან და წარმატებით შეასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციას. ამ მიზნის მისაღწევად ჩემმა კოლეგებმა და მათ შორის მეც ძალიან ბევრი ვიშრომეთ და ვერ დავუშვებ, რომ ამდენი ადამიანის შრომას ჩრდილი მიადგეს“ – აღნიშნულია ვასილ მაღლაფერიძის განცხადებაში.

საზმაუს დროებით თინათინ ბერძენიშვილი უხელმძღვანელებს

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობას ვასილ მაღლაფერიძის პირველი მოადგილე თინათინ ბერძენიშვილი შეასრულებს. ამის შესახებ ბორდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ირინა ფუტკარაძემ განაცხადა.

ფუტკარაძე მაღლაფერიძის გადაწყვეტილებას მოულოდნელს, თუმცა გონივრულს უწოდებს და ამბობს, რომ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი უკვე გამოცხადდა.

ბორდის თავმჯდომარის თქმით, ყოველთვის არსებობდა შეკითხვები ვასილ მაღლაფერიძის „ქართულ ოცნებასთან“ აფილირების შესახებ, სავარაუდოდ, მისი გადაწყვეტილების საფუძველიც სწორედ ეს გახდა.

ნიკა მელია: „დიდუბე-ჩუღურეთში ზურაბ ჯაფარიძეს ვუჭერთ მხარს, საბურთალოზე კი ჩვენს კანდიდატს არ ვაყენებთ“

გუშინ, 18 აგვისტოს, „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდუბე-ჩუღურეთში საერთო ოპოზიციური მაჟორიტარობის კანდიდატი ზურაბ ჯაფარიძე, საბურთალოს ოლქში კი ირაკლი ოქრუაშვილი იქნება.

– ჩვენ მკაფიოდ მხარს ვუჭერთ ზურა ჯაფარიძეს დიდუბე-ჩუღურეთში მაჟორიტარობის საერთო კანდიდატად, რაც შეეხება საბურთალოს, ჩვენ იქ უბრალოდ კანდიდატს არ ვაყენებთ.

ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ განაცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ასევე დეკლარაცია, რომელიც ხმების დაცვასთან დაკავშირებით იქნა მიღებული. მელიას თქმით, უახლოეს პერიოდში, სავარაუდოდ, გაფორმდება შეთანხმება, რომ ოპოზიციური პარტიები „ქართულ ოცნებასთან“ არ ითანამშრომლებენ.

– ბევრი ღირსეული კანდიდატია საბურთალოს რაიონში ოპიზიციიდან თავმოყრილი და ჩვენ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ იქ კანდიდატი არ დავაყენოთ. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, დეკლარაციის შემუშავება ხმების ერთობლივი დაცვის თაობაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, თავშიც არ უნდა გაივლოს ივანიშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა, რომ შესაძლებელი იქნება არჩევნებზე ხმების გაყალბება, ვინაიდან მათ ხელში ბამბაც კი იჩხრიალებს 2020 წლის 31 ოქტომბერს.

ჩვენ ვითანამშრომლებთ მჭიდროდ ერთმანეთთან და კიდევ უფრო მთავარი შეთანხმება, რაც დარწმუნებული ვარ, მოხდება უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, სექტემბრის თვეში, ყველა ოპოზიციური დემოკრატიული ძალა შევთანხმდებით ერთობლივად და ეს აისახება საერთო დეკლარაციაში, რომ არავინ ითანამშრომლებს არადემოკრატიულ ძალასთან – „ქართულ ოცნებასთან“ და მის ოლიგარქთან, ეს არის უმნიშვნელოვანესი, – განაცხადა მელიამ.

ნინო ბურჯანაძე: „30-მა პარტიამ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომ ერთმანეთის ხმებს დაიცავენ“

– ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მინიმუმ კოორდინირება შენარჩუნებულია, არ არის წინააღმდეგობა და ოპოზიციამ საერთო კანდიდატები დააყენა თბილისის ყველა ოლქში.

ამის შესახებ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ასევე დეკლარაცია ხმების დაცვასთან დაკავშირებით.

ბურჯანაძის თქმით, დეკლარაციას 30-მდე პარტია შეუერთდა. როგორც ის ამბობს, თანხმობა აქვთ მიღებული ასევე იმ პარტიების პოლიტიკური ლიდერებისგან, რომლებიც შეხვედრას ვერ დაესწრნენ.

– თბილისში მაჟორიტარობის კანდიდატებზე კოორდინაცია ნიშნავს იმას, რომ იქნება თანამშრომლობა იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლოს ვერც ერთი მაჟორიტარული ოლქის მოგება მინიმუმ თბილისში. ეს არის მთავარი და ვფიქრობ, რომ ეს საზოგადოებისთვისაც ძალიან მისაღები და გასაგები უნდა იყოს.

საერთო კანდიდატია ოქრუაშვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ დიახ, ჩვენ ამ კანდიდატებს მხარს ვუჭერთ და ვეცდებით, შესრულდეს ის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელზეც დღეს შევთანხმდით. აბსოლუტურად უპრეცედენტოა ის დეკლარაცია, რომელზეც დღეს შევთანხმდით, პირველად არის საქართველოს ისტორიაში, როცა 30-მა პარტიამ ხელი მოაწერა იმას, რომ ერთმანეთის ხმებს დაიცავენ და არ მივცემთ „ქართულ ოცნებას“ შესაძლებლობას, რაც 2016 წელს გააკეთა, როცა ჩემი პოლიტიკური ორგანიზაციების ხმები თავად და სხვა სატელიტ პარტიებს გადაულაგა.

ეს არის საზოგადოებისთვის იმედის მომცემი, რომ „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს ხმებით მანიპულირებას, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გია ვოლსკი: „ხმებიც და ვითარებაც სწორედ ოპოზიციისგან არის დასაცავი“

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის განცხადებით, ოპოზიციის საუბარი გამარჯვებაზე წინასაარჩევნო ბაქიბუქია.

აღნიშნულის შესახებ ვოლსკიმ ჟურნალისტებთან ოპოზიციის შეთანხმებისა და მათი განცხადებების კომენტირებისას აღნიშნა.

მისი თქმით, ოპოზიციის შანსები არჩევნებში მცირეა. ამასთან, როგორც ვოლსკი აღნიშნავს, ირაკლი ოქრუაშვილის დასახელებით გამოჩნდა, რა ტიპის ერთობა აქვს ოპოზიციას.

– საზოგადოებას მიაწოდეს ამით ინფორმაცია, თუ რას წარმოადგენს ერთობა. იგივე ოქრუაშვილი რუსეთის პლატფორმიდან ადანაშაულებდა სააკაშვილის ხელისუფლებას, რომ ადამიანების ლიკვიდაციას ავალებდნენ და ის უარს ამბობდა, არის ბევრი სხვა თემაც, რომელიც ამ პიროვნებებს ერთმანეთისგან აცილებს თავის დამოკიდებულებით საკითხების მიმართ.

რაც შეეხება თვითონ კანდიდატურებს, მათ დამოკიდებულებას არჩევნების მიმართ, დამარცხების და გამარჯვების შესახებ საუბარს, რასაკვირველია, ეს წინასაარჩევნო ბაქიბუქია, მაგრამ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სრული ანალიზი, ვისთან გვაქვს საქმე, რით განსხვავდებიან ეს ადამიანები ერთმანეთისგან და სად არის მათი გაერთიანების მთავარი წერტილი.

ეს არის მათი დესტრუქციული სტრატეგია, ბაქიბუქი და ხმამაღალი განცხადებების გაკეთება, რომ მათ ხმები უნდა დაიცვან მაშინ, როცა ხმებიც და ვითარებაც სწორედ მათგან არის დასაცავი და ამას შეძლებს სახელისუფლებო რგოლი.

მე ვფიქრობ, არჩევნებთან დაკავშირებით საკმაოდ მცირე შანსები აქვთ ოპოზიციას, მათ შორის თბილისში და ყველაფერს საზოგადოება გადაწყვეტს, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ქართული ოცნება“ ქუთაისის მერობის კანდიდატად იოსებ ხახალეიშვილს წარადგენს

„კურიერისთვის“ ცნობილი გახდა, თუ ვის წარადგენს „ქართული ოცნება“ ქუთაისის მერობის კანდიდატად. ის იმერეთის რწმუნებულის პირველი მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი იქნება.

ინფორმაციას თავად ხახალეიშვილი და მმართველი პარტიის ლიდერებიც ადასტურებენ.

ქუთაისის მოსახლეობას ახალი მერის არჩევა საპარლამენტო არჩევნებზე მოუწევს. ყოფილმა მერმა, გიორგი ჭიღვარიამ თანამდებობა 8 აპრილს დატოვა. მას შემდეგ ეს პოსტი ვაკანტურია.

ჯერჯერობით უცნობია, ვის დაუპირისპირებს მმართველი პარტიის კანდიდატ იოსებ ხახალეიშვილს ადგილობრივ არჩევნებზე ოპოზიცია.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვისაც ივანიშვილის დამარცხება უნდა, საბურთალოზე ოქრუაშვილს დაუჭერს მხარს“

გურამ ჩალაგაშვილი: „ხელისუფლება ამ არჩევნებზე 100%-ით შეიცვლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, თბილისის დარჩენილ ორ ოლქშიც შედგა ერთობა. რამდენად იყო სრული მხარდაჭერა ოპოზიციის ლიდერების მხრიდან ოქრუაშვილის კანდიდატურისთვის? საუბარია, რომ ყველა ლიდერი არ იყო ამ შეკრებაზე.

– ირაკლი ოქრუაშვილი დაასახელეს საბურთალოზე და ზურაბ ჯაფარიძე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. ის, რომ არ იყო ყველა ლიდერი, არ ნიშნავს იმას, რომ არ იყო ერთობა. მოგეხსნებათ, რომ საარჩევნო კამპანიაა დაწყებული, ზოგიერთი ლიდერი გასულია ქალაქიდან, შესაბამისად, ყველა პარტიის წარმომადგენელი, ვინც ამ შეხვედრებს ესწრებოდა და იყო ლეიბორისტული პარტიის ფორმატში გაერთიანებული, იყო შეხვედრაზე. ყველამ დაფიქსირა თავისი აზრი და ჩვენ უკვე დავიწყებთ საარჩევნო კამპანიას.

– კონკრეტულად როდიდან დაიწყებთ აქტიურ კამპანიას?

– დღეიდან უკვე დაწყებულია კამპანია.

– სერიოზული კონკურენციაა საბურთალოზე. ძალიან ბევრი კანდიდატია. ერთმანეთს ხომ არ წაართმევენ ხმებს ოპოზიციური კანდიდატები. ვის რა შანსები აქვს?

– ზოგადად პოლიტიკა და არჩევნები არის კონკურენცია, რომ არ იყოს კონკურენცია, მაშინ ვიქნებოდით კომუნიზმის რეჟიმში, როდესაც მხოლოდ ერთი პარტია იყო. ეს არის ჯანსაღი კონკურენცია. ჩვენ ვართ ერთმანეთის კონკურენტები და არა – მტრები. აქ საუბარია ოპოზიციის მიერ დაყენებულ კანდიდატებზე, თუმცა არც სახელისუფლო კანდიდატების მტრები არ ვართ.

ოპოზიციას გვაქვს ერთი მიზანი, ერთი მიმართულება, რომ რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს ივანიშვილ-გახარიას სისხლიანი რეჟიმი. ეს არის ოპოზიციის თანხმობა და ჩვენი მთავარი ამოცანა.

ასევე გავრცელდა დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერს მთელი ოპოზიციური სპექტრი.

– ხმების დაცვას გულისხმობთ? როგორ უნდა დაიცვათ ერთმანეთის ხმები?

– ყველა პარტიას ეყოლება ყველა საარჩევნო უბანზე თავისი წარმომადგენელი, ზოგს კომისიის წევრი, დამკვირვებლები და ასე შემდეგ. ხოლო დეტალებს რაც შეეხება, არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო. დეტალურად ეს ყველაფერი იქნება გაწერილი რამდენიმე დღეში, თუ როგორ და რანაირად განხორციელდება ეს სქემა.

– რამდენად იმუშავებს ეს?

– რა თქმა უნდა, იმუშავებს. ყოველწუთიერად ექნებათ ინფორმაცია ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, ექნება ინფორმაცია მოსახლეობას, თუ რომელი ოლქის რომელ უბანში რა დარღვევებია, რას სჩადის ხელისუფლება, რას აკეთებენ მათი მხარდამჭერები. ე.წ. ძველი ბიჭები და ასე შემდეგ. ასე რომ, ოპოზიციის მხრიდან იქნება ძალიან დიდი წნეხი, რათა მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩატარდეს ეს არჩევნები. კომფორტს არ შევუქმნით ხელისუფლებას, რომ გააყალბოს ისე, როგორც აქამდე აყალბებდა.

– ირაკლი ოქრუაშვილზე ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ნაციონალები არ დაუყენებენ კანდიდატს. ანუ არც მხარს დაუჭერენ?

– ამ შემთხვევაში, მოგეხსენებათ, რომ იქ არის კიდევ ორი ოპოზიციური კანდიდატი, რომლებმაც თავად დააყენეს კანდიდატურები და არა ოპოზიციური გაერთიანების მხრიდან. არის ლელოს წარმომადგენელი და ასევე თაკო ჩარკვიანი.

– არა მარტო ესენი, ელისაშვილია, გოგიჩაიშვილი...

– კი ბატონო, მაგრამ ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ ეს ერთობა და ლეიბორისტული მაგიდის გარშემო მსხდომი ოპოზიციური პარტიების ყველაზე დიდი ნაწილი ამბობს, რომ მათ ჰყავთ საერთო კანდიდატი და ეს არის ირაკლი ოქრუაშვილი.

– ნაციონალები გადაჭრით არ ამბობდნენ, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ოქრუაშვილს. გასაგებია, რომ არ დაუყენებენ კანდიდატს, მაგრამ მათი ამომრჩეველი საბურთალოზე ვის დაუჭერს მხარს?

– მთლიანად ოპოზიციურმა სპექტრმა არჩევნების შემდეგ უნდა შექმნას ეროვნული კოალიციური მთავრობა და გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, რომელიც იქნა დასახელებული, აქვს ყველაზე დიდი წონაც, გამოცდილებაც. ყველაფერი შედარებითია და ყველამ ძალიან კარგად იცის, ვის რა გაუკეთებია ამ ქვეყანაში და ვის როგორ უმუშავია ქვეყნის წარმატებისთვის. ყველა, ვისაც უნდა, რომ დაამარცხოს ბიძინა ივანიშვილი და იხილოს ეროვნული კოალიციური მთავრობა, იქნება გაერთიანებული ოპოზიციის მიერ წარდგენილი კანდიდატის, ირაკლი ოქრუაშვილის, მხარდამჭერი.

– დიდუბე-ჩუღურეთში შეთანხმდით ზურაბ ჯაფარიძეზე.

– დიახ, ზურაბ ჯაფარიძეს მხარს უჭერს ყველა პარტია. ჩვენ მივეხმარებით ყველა გაერთიანებულ კანდიდატს.

– თუმცა ჯაფარიძემ დამოუკიდებლად დააყენა საკუთარი კანდიდატურა. ასე არ არის?

– მან თავად განაცხადა რამდენიმე დღის წინ, კონსულტაციები მიმდინარეობდა და გაერთიანებულმა ოპოზიციამ დააფიქსირა, რომ ყველა უჭერს მხარს მის კანდიდატურას.

– თაკო ჩარკვიანსაც ჰქონდა თავისი სურვილი საბურთალოზე გაცხადებული, თუმცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ სხვა არჩევანი გააკეთა.

– დიახ, ოპოზიციამ გააკეთა ის არჩევანი, რაც ყველამ მოისმინეთ. მე წარმატებებს ვუსურვებ ყველა ადამიანს, ვინც მართლა მთელი გულით იბრძვის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ.

– საუბარია, რომ შესაძლოა თქვენც იყოთ მაჟორიტარობის კანდიდატი. ადასტურებთ ამას?

– მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ შიდა პარტიული მოლაპარაკებები მიდის და ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებას მივიღებთ მომავალი კვირის დასაწყისში. არა მხოლოდ მე, არამედ პარტიის სხვა წევრებიც იქნებიან სხვადასხვა ოლქებში წარდგენილები. ეს ყველაფერი სწრაფად უნდა დავასრულოთ და დავიწყოთ აქტიური საარჩევნო კამპანია.

– ხელისუფლება პანდემიის გამო შექმნილ სიტუაციას სათავისოდ იყენებს და ქულებს იწერს. რამდენად თანაბარ სიტუაციაში ხართ? სერიოზული ფულია მეორე მხარეს, ამას რით უპირისპირდებით?

– იმაში, რომ კოვიდი ეხმარება ხელისუფლებას და მომავალშიც დაეხმარება, ვერ დაგეთანხმებით. იმიტომ, რომ ხელისუფლება არის აბსოლუტურად უმოქმედო. ის, რომ კოვიდს ვებრძვით და გამოჯანმრთელებული ადამიანების რიცხვი იზრდება, ნიშნავს იმას, რომ გვყავს კარგი ექიმები და არა იმას, რომ რომელიმე მათგანი გახარიას ან ივანიშვილის გამოზრდილი სპეციალისტია.

რაც შეეხება ხელისუფლების ქმედებას, ეს ადამიანებისთვის უმნიშვნელოა. ეს ერთჯერადი მიზერული დახმარება ვერ შეცვლის ამ ადამიანების ცხოვრებას. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხედავს, რომ 8 წლის განმავლობაში არც ერთი სერიოზული წარმატებული პროექტი დღევანდელ ხელისუფლებას არ განუხორციელებია. სულ უკან და უკან მივდივართ.

– ეს არჩევნები იძლევა ხელისუფლების ცვლილების რეალურ შანსს?

– ამ არჩევნებზე 100%-ით შეიცვლება დღევანდელი ხელისუფლება და იქნება ეროვნული, კოალიციური მთავრობა, რომლის კურსიც იქნება დასავლეთი და მხოლოდ და მხოლოდ განვითარება და ეკონომიკური წინსვლა.

„საბურთალოზე ბევრად უფრო მწვავე დაპირისპირება იქნება, ვიდრე ვაკეში“

რამაზ საყვარელიძე: „საინტერესო ბრძოლა იქნება ისანში, სადაც ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ჰყავს გამოყვანილი „ქართულ ოცნებას“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, რითი ხსნით მშვიდ წინასაარჩევნო კამპანიას თუ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის?

– ძალიან მძაფრი წინასაარჩევნო კამპანია რომ არ გვაქვს, ეს ალბათ რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. ერთი, ოპოზიციას ენერგიის პიკი ბევრად უფრო ადრე ჰქონდა. სპორტში, სპორტული ფორმა უნდა მოამწიფო იმ მომენტისთვის, როდესაც შეხვედრა იქნება. ჩვენ ვნახეთ, როგორი აქტიური იყო ოპოზიცია ადრე, ახლა მოქმედების რესურსი შემცირებული აქვს. აღარ იცის, რა გააკეთოს. თან გაკეთებას პოლიტიკაში სიახლე სჭირდება. ერთი და იგივეს კეთებით რეიტინგს ვერ მიიღებენ. კონცეპტუალური კრიზისი აქვთ. თითქოს ოპოზიციის არსენალი დაცლილია.

კინოს ჩვენება და მოხსენებების წაკითხვა პოლიტიკურ შინაარსს ნაკლებად შეიცავს.

– ხმების დაცვასთან დაკავშირებით დეკლარაცია ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ თუ შეიძლება რეალურად იყოს ეს საფრთხე?

– ვერ გეტყვით, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს საფრთხე?! თუმცა, ოპოზიციამ დაკარგული ერთიანობის აღდგენა მოახდინა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. პოლიტიკურ კულტურას ზრდის ასეთი ნაბიჯები, როდესაც პარტიები მოლაპარაკებებს და პოზიციების შეთანხმებას ახერხებენ. კოორდინაცია მოახერხეს იმისთვის, რომ საბურთალოზე ოქრუაშვილს გაუსუფთავონ გზა. საბურთალო ყველაზე მძიმე არტილერიის ბრძოლის ველი აღმოჩნდა. სერგეენკო, ჯაფარიძე, ელისაშვილი, გოგიჩაიშვილი, ჩარკვიანი, ოქრუაშვილი და ა.შ. ამ ფონზე ოპოზიცია მიხვდა,

რომ მას გაუჭირდება ქაოტური მოქმედებით შედეგის მიღწევა. მე ვფიქრობ, კოორდინაცია სწორედ ამით არის განპირობებული.

მიუხედავად ძალიან მძიმე ბრძოლისა, რომელიც ნამდვილად იქნება საბურთალოზე, ხელისუფლებას ძალიან ძლიერი ფალავანი ჰყავს გამოყვანილი სერგეენკოს სახით.

– ყველა ვაკეს ვარაუდობდა, მაგრამ ახლა აქცენტი საბურთალოზეა გადატანილი.

– რა თქმა უნდა, საბურთალო ბევრად უფრო მწვავე დაპირისპირების ასპარეზი გამოდის, ვიდრე ვაკე. თუმცა, ისეთი კანდიდატები მონაწილეობენ, რომ მე იმედი მაქვს, ეს სიმწვავე ეთიკურ ნორმებს არ გასცდება.

– დიდუბე-ჩუღურეთში რამდენად სერიოზული ბრძოლა შეიძლება გაიმართოს?

– ანა დოლიძე, ზურა ჯაფარიძე და „ოცნებიდან“ გია ვოლსკი. ძალიან სერიოზული ბრძოლა გველოდება აქაც. ვოლსკი თავის თავში დარწმუნებულია, რადგან მას ერთხელ უკვე მოგებული აქვს ეს ოლქი. შეიძლება ფიქრობს, მისი ერთგული ამომრჩეველი კვლავ მას აირჩევს. როგორც ჩანს, ერთგულ ამომრჩევლებში დარწმუნებულია. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველას თავისი რესურსი აქვს, მაგრამ მაინც არ მგონია, მისი კონკურენტების რესურსი უფრო მეტი იყოს, ვიდრე გია ვოლსკის.

ასევე, საინტერესო ბრძოლა იქნება ისანში, სადაც ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ჰყავს გამოყვანილი „ქართულ ოცნებას“. კახი კახიშვილი საინტერესო კანდიდატია, თავისი მაღალი რეიტინგით. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, არჩევნებზე ერთ-ერთი ფრონტის ხაზი სწორედ ისანში იყოს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციამ გაამწვავოს ისანში დაპირისპირება, რადგან ძლიერ კანდიდატს უპირისპირდებიან.

– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზეც მაინტერესებს თქვენი პოზიცია: დავით ბაქრაძის განცხადება, საკაკაშვილთან, ადეიშვილთან და მერაბიშვილთან დაკავშირებით, რომ ისინი კოალიციურ მთავრობაში არ იქნებიან, რითი იყო განპირობებული?

– ეს განცხადება უფრო ამომრჩეველზე იყო გათვლილი. ამ განცხადების სამიზნე აუდიტორია სწორედ ამომრჩეველი იყო. „ევროპულ საქართველოს“ მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილის კრიტიკული დამოკიდებულება სწორედ იმიტომ არის, რომ მათში სახეშეცვლილ, ცხვრის ტყავში გადაცმულ „ნაციონალებს“ ხედავენ. ამ განცხადებით „ევროპული საქართველო“ „ნაციონალური მოძრაობისგან“ დისტანცირებას ცდილობს. ასევე ცდილობს იმუშაოს იმ ამომრჩეველზე, რომელსაც ჯერ ვერ მიუღია გადაწყვეტილება – „ნაციონალური მოძრაობა“ თუ „ევროპული საქართველო“. ამდენად, „ევროპულ საქართველოს“ სჭირდება, ასეთი განცხადებებით თუ სხვა მანევრით, დისტანცირება იმ ძირითადი ფიგურებისგან, ვინც განასახიერებდა წინა ხელისუფლების მმართველობას. ამდენად, სავსებით გასაგებია ეს ჩამონათვალი. თუმცა, რატომ არიან გამონაკლისი ის ადამიანები, რომლებიც „ევროპულ საქართველოში“ არიან და ასევე იყვნენ იმ ხელისუფლების წინა რიგებში, გაუგებარია.

– როგორ ფიქრობთ, კოალიციური მთავრობა შეიძლება მართლაც რეალობაა თუ ილუზია, რომლითაც ცხოვრობს ოპოზიცია ან საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას ახდენდეს?

– ჯერჯერობით, დღევანდელი სიტუაციით, ეს უფრო გრძელ სატყუარას ჰგავს ამომრჩევლისთვის გადაგდებულს. ისე, ზოგადად, კოალიციურ მთავრობას ძალიან მაღალი პოლიტიკური კულტურა სჭირდება. გვაქვს ეს კულტურა?! სანამ, პარტიული ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას, იქამდე კოალიციური მთავრობის შექმნა შეიძლება ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს. ამ დროს, პარტიული ინტერესი იქნება წინა პლანზე, ქვეყანა კი სადღაც უკან, მეცხრე ადგილზე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ყველა პარტიის რეიტინგი უნდა განისაზღვროს“

მამუკა ტუსკაძე: „მთელი სახელმწიფო თუ საერთაშორისო მექანიზმი და მანქანა მუშაობს იმაზე, რომ ამომრჩეველს მხოლოდ 4-5 პარტია დაამახსოვროს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „არჩევანი სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, სხვადასხვა ორგანიზაციები კვლევის შედეგებს აქვეყნებენ, სადაც მხოლოდ მთავარი მოთამაშეების, ძლიერი პარტიების რეიტინგებია მოცემული. ბოლო დროსაც გამოქვეყნდა კვლევის შედეგები. თქვენ როგორ აფასებთ ამგვარ კვლევებს? საერთოდ, რა პრობლემა ჩანს ამ კვლევებიდან?

– ბოლოდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ 42%-ზე მეტი გადაუწყვეტელი ამომრჩეველია და ახალ პარტიებს ელოდება, როდის გამოჩნდება პოლიტიკურ სივრცეში, რომ მასზე გააკეთოს არჩევანი. მიუხედავად ამისა, კვლევითი ორგანიზაციები ენდიაი, აირაი, ედისონ რიჩერსი და სხვები აქცენტს აკეთებენ მხოლოდ 5-6 პარტიაზე, რომელსაც რაღაც ისტორია აქვს შექმნილი. როგორიცაა, მაგალითად, „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა და სხვები.

უამრავი გამოკითხვა აჩვენებს იმას, რომ საზოგადოება ახალ ძალას ელოდება. ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, კითხვარში ახალი პარტიებიც თუ იქნებოდა შეტანილი, მაშინ ამომრჩეველთა 42%-ს გაუადვილდებოდა თავისი აზრის გამოხატვა, ანუ კითხვარში ჩაწერილი იქნება არა 5 პარტია, რომლის ქმედება საზოგადოებას მობეზრებელი აქვს, არამედ ის ძალები, რომლებიც პოლიტიკურ ველზე არიან გამოსული.

– კერძოდ, ვის გულისხმობთ?

– თუნდაც იმ ძალებს, ვინც არჩევნებში მონაწილეობაზე ცესკოში განაცხადი გააკეთეს. შეიძლებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულ პარტიებსა და მის ლიდერებზე ჩაეტარებინათ კვლევა. ეს მოგვცემს შედეგს, სადაც ასახული იქნება 42%-ის აზრი, რომელსაც კითხვარში შეტანილი 5-6 პარტიიდან ხმის მიცემა არც ერთზე არ სურს. ამიტომ დღემდე ჩატარებული ვერც ერთი კვლევა რეალურ სურათს ვერ ქმნის.

– საინტერესოა იმ მიზეზის დადგენა, რეალურად 42%-ზე უფრო მეტი ამომრჩეველი არჩევნებზე რატომ არ მიდის? საინტერესოა, ეს ადამიანები საარჩევნო პროცესიდან გასულები რატომ არიან? წინასაარჩევნო პერიოდში კვლევებსა თუ სხვა წინასაარჩევნო ღონისძიებებზე ვერ ხედავენ იმ პარტიებს, ვინც მოეწონებოდათ და ამიტომ არ მონაწილეობენ?

– მთელი სახელმწიფო თუ საერთაშორისო მექანიზმი და მანქანა მუშაობს იმაზე, რომ ამომრჩეველს მხოლოდ 4-5 პარტია დაამახსოვროს. ახალ პარტიებსა და ახალ იდეებზე აქცენტს არ აკეთებენ. ამ მიმართულებით ის 50% ვაკუუმშია. არადა, ახალგაზრდა პარტიებისთვის ყველასთან მისვლა, ყველა ოჯახის კარზე დაკაკუნება ფიზიკურად შეუძლებელია ადამიანური თუ ფულადი რესურსის სიმწირის გამო. ახალ პარტიებს ამგვარი საქმიანობისთვის დიდი რესურსი სჭირდებათ.

– ანუ პარტიები ამ რეიტინგებითაც ცნობადები ხდებიან და ეს გავლენას ახდენს ამომრჩეველზე?

– დიახ. მინდა მოვუწოდო ნეიტრალურ თუ სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც კვლევებს ატარებენ, ახალი პარტიების მოთხოვნა აუცილებლად გაითვალისწინონ და 5-6 პარტია კი არა, გამოკითხვებში 50 თუ 60 პარტია შეიყვანონ, ვინც საარჩევნო კომისიას მიმართა და საარჩევნო რეგისტრაცია მოითხოვა.

– ანუ, როდესაც ადამიანი საინფორმაციო საშუალებებს თვალს ადევნებს და იქ მხოლოდ რამდენიმე პარტია ფიგურირებს, ეს მოქმედებს არჩევნების შედეგებზე?

– დიახ. მოქმედებს. არადა, ამ დროს გადაუწყვეტელი ამომრჩეველი 42%-ია. ამომრჩევლის 42% ძალიან დიდია.

– პრეზიდენტის არჩევნების დროს გადაუწყვეტელი ამომრჩეველი 49% იყო.

– საპრეზიდენტო არჩევნების დროს საღამოს ზურაბიშვილის მომენტი მოქმედებდა. რეალურად, საპარლამენტო არჩევნებზე გადაუწყვეტელი ამომრჩეველი 19-20%. ახლა კი 42%-მდე ავიდა. ეს იმედგაცრუების ბრალიცაა. იმედგაცრუებაა ნაცმოძრაობისა და „ოცნების“ მიმართ. ეს 42% მზარდია. ამ არჩევნებზე ხალხი საარჩევნო უბანზე მივა და თქვენ განსხვავებულ სურათს ნახავთ.

– რატომ მივა ხალხი არჩევნებზე და რა სურათს ვნახავთ?

– ამ არჩევნებში 5-6 პარტიაზე გაცილებით მეტი პარტია მიიღებს მონაწილეობას. იგივე ჩვენი პარტია „არჩევანი სოციალური სამართლიანობის“ და სხვა პარტიები, რომლებიც არაერთ მანდატს მიიღებენ პარლამენტში. რეალურად, ამ გადაუწყვეტელი ამომრჩევლის ხმა წავა ამ პარტიებში.

– ისე, საერთოდ, ასეთი კვლევებისადმი ნდობაც დაბალია.

– კითხვის ნიშნები კვლევის მეთოდოლოგიაზეც არსებობს. კვლევითი ორგანიზაციები ძალიან ხშირად კვლევის მეთოდოლოგიას არ ამხელენ. შესაბამისად, მათი კვლევებისადმი ნდობაც დაბალია.

ლევან ჩაჩუა: „კრიმინალის ზრდაში ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვის“

„როცა შვილების მშობლებისგან მოწყვეტას ვაპროტესტებთ, მთელი საზოგადოება გვერდით გვიდგას“

მარიამ მჭედლიშვილი

საპარლამენტო არჩევნებამდე თითქმის ორი თვეა დარჩენილი, ქვეყანა კი უამრავი გამოწვევისა და პრობლემის წინაშე დგას. „ახალი თაობა“ ზოგიერთ აქტუალურ თემაზე ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. საზოგადოებას, არჩევნების და საგარეო რყევების გარდა, ბევრი სხვა ინტერესი და სატკივარი აქვს. ბევრმა დაკარგა შემოსავალი, ქვეყანაში ხდება უმძიმესი დანაშაულები. კრიმინალი განხილვის ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება. რას იტყვით?

– დანაშაულის მატება თვალშისაცემია. კრიმინალის ზრდაში ხელისუფლებას ლომის წილი მიუძღვის. როცა ეკონომიკური დონე ეცემა, როცა ადამიანები შიმშილობენ, მაშინ იზრდება ქურდობა. დადგენილია, რომ ეს ქურდობის, ძარცვის მატების ერთ-ერთი მიზეზია. საქართველოში ისედაც სიდუხჭირე იყო. ამ პანდემიამ სულ მოშალა ყველაფერი. ზოგმა ქურდობას მიჰყო ხელი.

– მკვლელობებსა და გატაცებებს რას უკავშირებთ?

– ამას ვუკავშირებ ეკლესიასთან ბრძოლას, სამლოცველო კუთხეების გაუქმებას. ეს სააკაშვილმა მოახდინა. მდგომარეობა არც „ქართული ოცნების“ დროს გამოსწორებულა. თუ რომელიმე უწყებაში, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით, ხატები და ჯვრები იყო, ყველაფერი აკრძალეს. ასევე გაუქმდა მოსწავლეებისა და სტუდენტების შეხვედრები მოძღვრებთან. ჩვენი ახალგაზრდობა არანაირად დაცული არ არის მავნე ზეგავლენისაგან. ტელეეკრანებიდან ისინი ყოველდღე უყურებენ ძალადობას, სისასტიკეს, უხამსობას და ნარკომანიის რეკლამირებას. ქვეყანაში მოხდა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია. საზოგადოებას არწმუნებენ, რომ მარიხუანა უვნებელი მსუბუქი საშუალებაა. სინამდვილეში, მარიხუანა უმძიმეს ფსიქიკურ დარღვევებს იწვევს. მისი მომხმარებელი ხდება აგრესიული და კონფლიქტური. მერე გვიკვირს, რომ მკვლელობები და ერთმანეთთან საქმის გარჩევები გახშირდა. ეს ყველაფერი, ერთობლიობაში, არის სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგი სხვადასხვა სფეროში. სახელმწიფოს რომ ჯანსაღი მომავალი თაობა აღელვებდეს, სულიერებას და სპორტს განავითარებდა, ძალადობისა და ნარკოტიკების პოპულარიზაციას აკრძალავდა. კიდევ ერთი გადაცდომა არის ბავშვთა კოდექსი და იუვენალური სამართალი.

– ამას თქვენ ადრეც ეწინააღმდეგებოდით.

– დიახ. როცა ისინი პროექტების სახით პარლამენტის კომიტეტებზე იხილებოდა, გამოვთქვამდით ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას. ბავშვთა კანონმდებლობა 1 სექტემბრიდან სრულად ამოქმედდება და დიდ პრობლემებს შექმნის. მაშინ კათოლიკოს-პატრიარქმაც განაცხადა, ეს კანონმდებლობა გამოიწვევს მძიმე შედეგს.

– ეს კანონმდებლობა ხომ უკვე მოქმედებს?

– ნაწილობრივ მოქმედებს, მაგრამ სოციალური მუშაკების მომზადება დაგვიანდა. ახლა, როცა ინტერვიუს ვწერთ, იუსაიდის დახმარებით მიმდინარეობს 200 ადამიანის დატრენინგება. ისინი მალე მზად იქნებიან იმისათვის, რომ სასამართლოს გარეშე, მცირე საბაბით მშობლებს შვილები ჩამოართვან. გაჭირვებულ ოჯახებს სულზე 50 ლარს აძლევენ. მიმღებ ოჯახებს სახელმწიფო უყოფს 1000 ლარს და მეტს. ეს სრული უსამართლობაა. ასეთ უსამართლობას ჩვენ წავაწყდით და ყველაფერი გავაკეთეთ ვითარების გამოსასწორებლად.

– როგორც ვიცი, საუბარია აჭარაში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახზე?

– დიახ და სხვაზეც. ხელვაჩაურის რაიონში ფუტკარაძეების 9-შვილიან ოჯახს სიდუხჭირის გამო შვილები ჩამოართვეს. მოტივად დასახელდა სოციალურად შეუსაბამო გარემო. ეს არის აბსურდი. საქართველოში ბევრი გაჭირვებულია. სახელმწიფომ არ შეუქმნა ნორმალური პირობები, არ დაასაქმა ხალხი. ჩვენს წინაპრებს არ უცხოვრიათ ფუფუნებაში, მაგრამ ბევრი შვილიც ჰყავდათ და აქამდეც მოვედით. შვილების წაყვანა მშობლიური ოჯახებიდან და მიმღებ ოჯახებში განთავსება, არის ოჯახების დანგრევა.

– ამ შემთხვევაში თქვენ ეს ჩაშალეთ?

– ამაში დიდი წვლილი შეიტანა ემიგრანტმა ილია ძოწენიძემ. მან თითო ბავშვზე 5 000 ლარი გადმორიცხა, ჯამში, 45 000 ლარი და ფუტკარაძეების ოჯახი გადარჩა. ამჟამად ბათუმში ვარ და თანხების მიზანმიმართულად განკარგვას ვაკონტროლებ. თბილისელ ნანა შარაშენიძესაც ჩამოართვეს და სიღნაღში წაიყვანეს სამწლინახევრის ნიკოლოზი – ბავშვი, რომელიც დედასთან ჩახუტების გარეშე არ იძინებდა. ორშაბათს საპროტესტო აქცია გავმართეთ თბილისის სოციალურ სააგენტოსთან. ილია ძოწენიძე ამ შემთხვევაშიც ჩაერია და ნიკოლოზის დასაბრუნებლად გადმორიცხა 6 000 ლარი. დიმიტრი ლორთქიფანიძემ ამ ოჯახს ერთოთახიანი გარემონტებული ბინა დაუთმო.

– გამოდის, რომ ნიკოლოზს დედას დაუბრუნებენ?

– ჩვენ პროცესი დავიწყეთ, განცხადება დაწერილია. პროცედურას დაახლოებით ორი კვირა სჭირდება. ეს მოგვარდება, მაგრამ რამხელა სტრესი მიაყენეს დედას, განსაკუთრებით კი ბავშვს?! ასეთი ფაქტებიც ანგრევს ახალგაზრდების ფსიქიკას. ეს ტრავმა ბავშვს მთელი ცხოვრება გაჰყვება. არ მესმის, თუ სახელმწიფო თანხებს ხარჯავს, რატომ არ შეიძლება, ეს ფული ოჯახებს გამოუყოს! თორემ, რა გამოდის? არომეკვენ შვილებს მშობლებს, შემდეგ კი მათი შესანახ ფულს აძლევენ სხვებს. იმ სიტუაციაში, როცა საქართველოში ერთი ჯგუფი მდიდრდება და ნეპოტიზმია, აქაც ჩნდება ეჭვი.

– რა ეჭვი?

– წართმეულ შვილებს და დიდ ფულს აძლევენ თავიანთ ახლობლებს. შემდეგ შეიძლება სამუდამო გაშვილების საკითხიც დადგეს და აქაც დიდი გამორჩენა ექნებაა.

– თუ 1 სექტემბრიდან ბავშვთა კანონმდებლობა სრულად ამოქმედდება, თქვენ საქმე მოგემატებათ?

– მოგვემატება, მაგრამ საზოგადოება ჩვენთანაა. როცა შვილების მშობლებისაგან მოწყვეტას ვაპროტესტებთ, საზოგადოება გვერდით გვიდგას. ჩვენ მიერ განთავსებულ მასალებს ამ თემაზე მილიონამდე ნახვა აქვს. ხალხი ჩვენს მიდგომას ეთანხმება.

თენგიზ ცერცვაძე — ბოლო პერიოდში ხალხმრავალი შეკრებების რაოდენობა გაიზარდა, რაც სახიფათოა, გავუფრთხილდეთ მიღწეულ შედეგს

„ხალხმრავალი შეკრებების რაოდენობა გაიზარდა, რაც ყველაზე მეტად სახიფათოა“, – ამის შესახებ, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორმა, თენგიზ ცერცვაძემ „ინტერპრესნიუსთან“ განაცხადა.

თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, სიკვდილობის საშუალო მაჩვენებელმა მსოფლიოში დაიკლო, მაგრამ არა იმდენად, რომ ის თვითდამშვიდების საშუალებას იძლეოდეს.

– ბოლო დროს, უცხოეთშიც და საქართველოშიც ექსპერტები ამბობენ, რომ თითქოს, დაავადების სიმძიმის პროფილი ძალიან შეიცვალა. გახშირდა ახალი კორონავირუსის შედარებით მსუბუქი შემთხვევები, მოიკლო მძიმე შემთხვევებმა და სიკვდილობამ – ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. მართალია, მსოფლიოში, საშუალო სიკვდილობის პროცენტმა მოიკლო 5%-დან 3.5%-მდე, მაგრამ ეს ზოგიერთი ქვეყნის ხარჯზე მოხდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი კორონავირუსი ნაკლებად სახიფათოა, ან ნაკლებად სასიკვდილო. ბევრ წამყვან ქვეყანაში, თუნდაც ისეთში, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი და ესპანეთი, სიკვდილობა 10%-ს აჭარბებს. სიკვდილობის საშუალო მაჩვენებელმა მსოფლიოში დაიკლო, მაგრამ არა იმდენად რომ იძლეოდეს თვითდამშვიდების საშუალებას.

საქართველოში ბოლო გარდაცვალება 28 ივლისს დაფიქსირდა, 20 დღე გავიდა და მას შემდეგ ჩვენ გვყავდა 22 მძიმე ავადმყოფი და 7 კრიტიკულად მძიმე პაციენტი. მცდარია მოსაზრება, რომ კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების უმრავლესობა მსუბუქია, საშუალო სიმძიმის ან უსიმპტომოა. კვლავ რჩება დაავადების სიმძიმე, რაც უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობამ.

28 ივლისის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევა არ გვქონია. დანარჩენ მსოფლიოში კი სიკვდილობის შემთხვევა საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს რომ კორონავირუსი მძიმე დაავადებაა და სერიოზულად მოვექცეთ, – განაცხადა ცერცვაძემ.

თენგიზ ცერცვაძის თქმით, საქართველოში კორონავირუსის მიკრო პიკები არ წარმოადგენს ნაციონალურ საფრთხეს.

– ჩემი, როგორც ექსპერტის მოსაზრებით, არ გვექნება დაავადების ფართო გავრცელება. არ დაგვჭირდება ფართომასშტაბიანი შეზღუდვების და საკარანტინო ღონისძიებების დაწესება. შემოვიფარგლებით ლოკალური ღონისძიებებით, როგორიც არის ყაზბეგში, მესტიაში და ქობულეთში. ხედავთ, აქედანაც, მხოლოდ მესტიის ჩაკეტვა გახდა საჭირო. ყაზბეგში და ქობულეთში ჯერჯერობით საკარანტინო ღონისძიებები საჭირო არ გამხდარა. ეს შედეგია არა დაავადების შემსუბუქების და გაკეთილშობილების, არამედ იმის, რომ საქართველოს ექიმები და სამთავრობო ვერტიკალი ყოველთვის კარგად მართავს ვითარებას. უკეთესად ისწავლეს ბრძოლა ამ ეპიდემიასთან. მყისიერად ხორციელდება საპასუხო ღონისძიება იქ, სადაც შემთხვევების მატება ფიქსირდება.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა პირბადეების მოხმარების კლება, ხალხმრავალი შეკრებების რაოდენობა გაიზარდა, რაც ყველაზე მეტად სახიფათოა. ლენჯერში, სადაც კორონავირუსით ინფიცირებულების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, სწორედ ხალხმრავალ შეკრებას უკავშირდება. სოციალურ დისტანციასაც აღარ ვიცავთ ისე, როგორც ვიცავდით. უნდა გავუფრთხილდეთ მიღწეულ შედეგს, – განაცხადა ცერცვაძემ.

ბაია მოაჯირიდან გადავარდა, გიორგი მის გადასარჩენად გადახტა, მაგრამ...

რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება

15 აგვისტოს, გამთენიისას, „დედაენის ბაღში“ მდებარე „ბაუჰაუს ბარის“ ორი თანამშრომელი – გიორგი შალამბერიძე და ბაია ბერუაშვილი გაუჩინარდნენ. მათი კვალი იუსტიციის სახლთან დაიკარგა. ბარიდან გასვლამდე, ახალგაზრდებმა საკუთარი ნივთები – ხელჩანთები და მობილური ტელეფონები ბარში დატოვეს.

შსს-მ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მაშინ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„ბაუჰაუს ბარიდან“ 2 ახალგაზრდის გაუჩინარების შესახებ შეტყობინება პოლიციაში 15 აგვისტოს დაახლოებით 21:00 საათზე შემოვიდა. პოლიციამ ახალგაზრდების ძებნა აქტიურად დაიწყო. გამოძიება კი 143-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა სამდღიანი საძიებო სამუშაოების შედეგად, ბარ „ბაუჰაუსის“ დაკარგული თანამშრომლების ცხედრები მდინარე მტკვარში, ბარის სიახლოვეს 17 აგვისტოს იპოვეს – თავდაპირველად გოგონას ცხედარი ნახეს, შემდეგ კი – ვაჟის.

გიორგი შალამბერიძის და ბაია ბერუაშვილის ცხედრები სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

გამოძიება სწავლობს, რა ვითარებაში დადგა ეს უმძიმესი შედეგი – ორი ახალგაზრდის სიკვდილი. შესაძლო მიზეზებზე გარდაცვლილის ოჯახის წევრები, ახლობლები და ბარის თანამშრომლები საჯაროდ არ ლაპარაკობენ.

რა გახდა ახალგაზრდების სიკვდილის მიზეზი და ჰქონდათ თუ არა მათ სხეულზე დაზიანებები, ამას ექსპერტიზა რამდენიმე დღეში დადგენს.

ახალგაზრდების ცხედრების აღმოჩენამდე ბაია ბერუაშვილის მეგობარი „ამბებთან“ ყვებოდა:

– ბაია ქუთაისში გაიზარდა, შემდეგ თბილისში გადმოვიდა დედასთან ერთად და ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. ჩემი მეგობარი 28 წლისაა, ძალიან სერიოზული და კარგი გოგოა, სიმშვიდისა და სითბოს განსახიერება, ამდენ ხანს ახლობლებს არ ანერვიულებდა. როგორც ვიცი, მათ შორის არანაირი სიყვარული და არაფერი ყოფილა, ჩვეულებრივი თანამშრომლები არიან.

„ჩვენი პირველი სიხარული. ჩემი ანგელოზი. ჩემო სულო, როგორ გავმწარდით. ჩემო ლამაზო ბაია, როგორ მიგვატოვე. როგორ გვიხაროდი და გვეამაყებოდი“ – დაწერა ფეისბუქის პირად გვერდზე გარდაცვლილი გოგონას დეიდამ.

ბაია ბერუაშვილის ოჯახის ახლობლების ვერსიით, ახალგაზრდები ჰაერზე გავიდნენ, მტკვრის მოაჯირზე ისხდნენ და მდინარეში იქიდან გადავარდნენ. ახლობლები ვარაუდობენ, რომ მოაჯირიდან ჯერ ბაია გადავარდა, მას გიორგიც გადაჰყვა და გოგონას გადარჩენა სცადა, მაგრამ დინებამ ორივე წაიღო.

„ამბების“ წყაროს ინფორმაციით, ამ ვერსიაზე მუშაობს გამოძიებაც.

გარდაცვლილი ვაჟის მამა მამუკა შალამბერიძე წლების განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს თანამშრომელი იყო.

როგორც გიორგი შალამბერიძეს, ასევე ბაია ბერუაშვილს მეგობრები კარგ და სასიამოვნო ადამიანებად ახასიათებენ.

თამაზ ხომასურიძის შვილი შიმშილობის დაწყებას აპირებს



გიორგი შაქარაშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ერთ-ერთი არასრულწლოვნის ზ.ხ-ს მამის, თამაზ ხომასურიძის ინფორმაციით, მისი შვილი პროტესტის ნიშნად შიმშილობის დაწყებას აპირებს.

როგორც მან მცხეთის რაიონულ სასამართლოში სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, მისი შვილი პროტესტის ამ ფორმით მოითხოვს, რომ სიცრუის დეტექტორით დაკითხონ და ამგვარად დაამტკიცოს მისი სიმართლე.

– შევეცდები გადავაფიქრებინო, არ მინდა იშიმშილოს, ბავშვია და მისი შიმშილობა არ შეიძლება. მის ნაცვლად მე ვიშიმშილებ. ასევე მოთხოვნაა, რომ გადადგეს პროკურორი, რომელიც მონაწილეობდა საქმის „შეკერვაში“. მან ჩემ თვალწინ ჩაასწორა პოლიციაში ნათქვამი. ნახევარი საათი იჯდა და რაღაცას ასწორებდა, შემდეგ კი ბავშვს ხელი ისე მოაწერინა, რომ არც წააკითხა. ამ პროკურორს სახეზე ვიცნობ, – განაცხადა თამაზ ხომასურიძემ.

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის დაკარგვის შესახებ ოჯახმა შინაგან საქმეთა სამინისტროს 19 ივნისს მიმართა. 4-დღიანი საძიებო სამუშაოების შედეგად, მყვინთავებმა ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის ცხედარი წყალში იპოვეს.

აღნიშნულ საქმეზე დაკავებულია 17 პირი, მათგან 6 არასრულწლოვანია.

პროკურატურამ შაქარაშვილის საქმეზე „ტოიოტა ქამრის“ მგზავრების – 5 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისთვის დაიწყო, რაც განზრახ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობას გულისხმობს. აღნიშნულ საქმეზე ბრალი ვახტანგ ჩიქოვანს, არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილს, არასრულწლოვნებს ა.ქ.-ს და ზ.ხ.-ს დაუმძიმდათ.

4 ადამიანის ავარიაში დაღუპვისთვის დაკავებულ 25 წლის ქალს, პ.გ-ს, ბრალი წაუყენეს

პროკურატურამ თბილისში, ქვემო ფონიჭალის დასახლებაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, რამაც 4 ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია, 25 წლის ქალს, პ.გ-ს, ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გენერალური პროკურატურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 15 აგვისტოს, ღამის საათებში, ქვემო ფონიჭალის დასახლებაში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პ.გ-მ ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის წესების დაცვა და ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობების გარეშე, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით დაეჯახა გაჩერებულ ავტომანქანას და მის უკან მდგომ ქვეითებს: მ.მ-ს, ე.ა-ს, რ.ა-ს, ა.მ-ს, ა. მ-ს, ე.ა-სა და ე.მ-ს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ე.ა. და ე.მ. შემთხვევის ადგილზე, ხოლო ა.მ. და მ.მ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალნენ, სხვა დაშავებულები მოთავსებული არიან სამედიცინო დაწესებულებაში. სამართალდამცველებმა პ.გ. 16 აგვისტოს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეცხრე ნაწილით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმ პირის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ) და 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება) 18 აგვისტოს წარედგინა.

პროკურატურამ ბრალდებულ პ.გ-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა“ – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შს მინისტრმა თბილისში დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორი და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა თბილისში დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორი და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება გახსნა. ღონისძიებას მინისტრის მოადგილეები დაესწრნენ.

ავჭალაში მდებარე ორივე შენობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თითოეული დაკავებულისთვის უზრუნველყოფილი იქნება სათანადო პირობები, დაცულია საცხოვრებელი სივრცის მინიმალური სტანდარტი, ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები, შენობების ინფრასტრუქტურა მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე.

ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში მოქმედებს დროებითი მოთავსების იზოლატორისგან განსხვავებული რეჟიმი და დაწესებულებაში მოთავსებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაკავდნენ დამატებითი აქტივობებით. აღნიშნული შენობის გარეთ მოეწყო სასეირნო და სავარჯიშო სივრცე. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, ასევე საერთო დარბაზი სატელევიზიო გადაცემების საყურებლად და სამაგიდო თამაშებისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ცენტრალური მართვის ოთახი დაათვალიერა, საიდანაც ქვეყნის მასშტაბით ყველა იზოლატორის ვიდეო-მეთვალყურეობა ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორი და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ვიდეო-სამეთვალყურეო ტექნიკით და სისტემებით.

შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ბრძანებით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონიტორინგის ჩატარების ახალი ინსტრუქცია დამტკიცდა. მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, დოკუმენტი, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ევროპის საბჭოსთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში შემუშავდა.

ახალი შენობების მშენებლობის და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები

ზურაბ თოდუა ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციაში გამოკითხვაზეა დაბარებული

დავით სარალიძის განზრახ, ჯგუფურად მკვლელობის საქმეზე დაკავებული მიხეილ კალანდიას ადვოკატის, ზურაბ თოდუას განცხადებით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხვაზეა დაბარებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თოდუამ განუცხადა, დღეს, 19 აგვისტოს, ის უწყებაში 11:30 საათზე გამოცხადდება, თუმცა ჩვენების მიცემას არ აპირებს.

ზურაბ თოდუას თქმით, ის ჩვენებას მხოლოდ მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით მისცემს.

– მე ძალიან ბევრი საჩივარი მაქვს შეტანილი გენერალურ პროკურატურაში კალანდიას საქმის არაეფექტურ გამოძიებაზე, დაცვაზე განხორციელებულ ზეწოლაზე, მუქარასა და მოწმეებზე ზემოქმედებაზე, ასევე მტკიცებულებებზე ფალსიფიკაციის თაობაზე, რომელზეც არანაირი რეაგირება არ იყო.

რამდენიმე დღის წინ, კიდევ ერთი შემაჯამებელი საჩივარი შევიტანე, თუ რატომ არ მოხდა ჩემს საჩივრებზე რეაგირება. ახლა მეორედ ცდილობენ მოწმის სახით დაკითხვას შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში. ერთხელ უარი ვთქვი დაკითხვაზე, რადგან განვაცხადე, რომ მე მზად ვარ, მივცე ჩვენება მხოლოდ მაგისტრ მოსამართლესთან.

გადაწყვიტეს ჩემი დაკითხვა ჩემ მიერ დასახელებული პრობლემების თაობაზე. პირდაპირ ვაცხადებ, გამოვცხადდები ხვალ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, მაგრამ ჩვენების მიცემას არ ვაპირებ. ჩვენებას მივცემ მხოლოდ მაგისტრ მოსამართლის თანდასწრებით, რადგან მოწმის სახით ჩემი ასეთი ფორმით დაკითხვა გამოიწვევს ჯანაშიას საქმისგან ჩემს ჩამოცილებას, ცკპდ-ს ეგ უნდა სწორედ, – განაცხადა ადვოკატმა თოდუამ.

„112“-ის თანამშრომლები საერთაშორისო ექსპერტების მიერ გადამზადდებიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში „ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შესახებ ტრენინგი დაიწყო. ტრენინგის ფარგლებში საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 12 თანამშრომელი, ოთხი დღის განმავლობაში საერთაშორისო ექსპერტების მიერ გადამზადდება.

ტრენინგზე განხილული იქნება როგორც სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, ასევე ელექტრონული ზედამხედველობის მოწყობილობების ფუნქციონირების პრინციპი, მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლები, მათი დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის წესი, ასევე პროგრამული უზრუნველყოფა, ზონების დაგეგმარება და კონტროლი.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის – UN WOMEN-ის აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ UN WOMEN-მა შეიძინა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა 100 ელექტრონული სამაჯური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს კანონმდებლობით ძალაში შედის მოძალადის ელექტრონული ზედამხედველობის პროგრამა, რომელსაც ტექნიკურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტმა მიმდინარე წლის ივლისში დაამტკიცა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან – UN WOMEN-თან აქტიური თანამშრომლობით. მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იქმნება დამატებითი მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ეფექტიანობის ასამაღლებლად. კანონის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, შესაძლებელი იქნება მოძალადის მიმართ დაწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური დაუმაგრდება, რომლის დახმარებითაც მოძალადის მიერ მსხვერპლთან/მსხვერპლის სახლთან, მის სამსახურთან და სხვა ტერიტორიასთან მიახლოების რეალურ დროში კონტროლი მოხდება.

მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და სამინისტროს მხრიდან ეტაპობრივად ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება ტარდება.

„სითი მოლი“ აფეთქებას გადაურჩა

„სითი მოლი“ აფეთქებას გადაურჩა, – ამის შესახებ ინფორმაციას „თბილისი ენერჯი“ ავრცელებს.

ცხელ ხაზზე შევიდა შეტყობინება, რომ სავაჭრო ცენტრში ბუნებრივი აირის ძლიერი სუნი იდგა. ადგილზე შესაბამისი სამსახურების მობილიზება მოხდა. „სითი მოლის“ შენობის საფუძვლიანად დათვალიერებისა და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სავაჭრო ცენტრ „სითი მოლის“ შენობაში, ერთ-ერთ სამზარეულოში ღია მდგომარეობაში იყო დატოვებული გაზქურის 8 სანთურა.

„თბილისი ენერჯის“ ცხელ ხაზზე შეტყობინება შევიდა. რომ ქავთარაძის 1 ნომერში მდებარე სავაჭრო ცენტრში ძლიერი გაზის სუნი იდგა. ადგილზე დროულად მისული თბილისი ენერჯის სწრაფი რეაგირების ჯგუფებმა ლაზერული აპარატით შემოწმებისას გაზის მაღალი კონცენტრაცია დააფიქსირეს. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო, სამაშველო, სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის ეკიპაჟები. „თბილისი ენერჯის“ სპეციალისტებმა უსაფრთხოების მიზნით ობიექტს გაზმომარაგება შეუწყვიტეს.

შენობის საფუძვლიანად დათვალიერებისა და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სავაჭრო ცენტრ სითი მოლის შენობაში, ერთ-ერთ სამზარეულოში ღია მდგომარეობაში იყო დატოვებული გაზქურის 8 სანთურა.

სითი მოლი აფეთქებას გადაურჩა. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

„თბილისი ენერჯი“ მადლობას უხდის იმ ადამიანს, ვინც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და შეგვატყობინა საშიშროების შესახებ. კომპანია ასევე მადლობას უხდის საკუთარ თანამშრომლებს, რომლებმაც უსწრაფესად გაანეიტრალეს საფრთხე და შენობა ძლიერ აფეთქებას გადაარჩინეს.

„თბილისი ენერჯი“ ყველას მოგიწოდებთ – იყავით ფრთხილად და ყურადღებით. გთხოვთ, საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. მუდამ შეამოწმეთ გაზის დანადგარები, რათა თავიდან ავირიდოთ უბედური შემთხვევები, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად ადამიანების სიკვდილით მთავრდება“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

შეიყვანს თუ არა პუტინი ჯარს ბელარუსში?!

ბელორუსში საპროტესტო აქციები არ ცხრება. ლუკაშენკოს წინააღმდეგ აღდგა ინტელიგენცია, სტუდენტობა, მუშები. გაიფიცნენ ქარხნები, ტელევიზია. დასავლეთი არ ცნობს ბელარუსის პრეზიდენტის არჩევნებს, რადგანაც ისინი ძალადობისა და გაყალბების ფონზე ჩატარდა. ამის თაობაზე განაცხადეს გერმანიის კანცლერმა მერკელმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა და ა.შ.

ალექსანდრე ლუკაშენკომაც თვალი მიაპყრო მოსკოვს. მან ტელევიზიით პირდაპირ განაცხადა, რომ თუ მას დაამხობენ, ბელარუსში რუსული არმია შევა.

– ბელარუსის პრეზიდენტიც პუტინი იქნება! მოგენატრებით, მაგრამ გვიანი იქნება! -დაიმუქრა ლუკაშენკო.

შეიყვანს თუ არა პუტინი ჯარს ბელორუსში? ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ეს საეჭვოა. ჯერ ერთი, დღეს თავად რუსეთშიც საპროტესტო ტალღა შეინიშნება (ხაბაროვსკი). პუტინის რეიტინგი კი ეცემა და ბელარუსში ჯარის შეყვანა ნამდვილად არ მოუმატებს პუტინს მხარდამჭერებს. ამას გარდა, რუსული ტანკების გამოჩენა თავად ბელარუსებსაც გააღიზიანებს. შედეგად ბელარუსში არსებული სუსტი ანტირუსული განწყობები გაძლიერდება.

ამას გარდა, ბელარუსის ოკუპაციას უაღრესად ნეგატიურად შეხვდება დასავლეთი. მოსკოვის მიმართ სანქციები გამკაცრდება.

ამრიგად, ინტერვენცია კრემლისთვის არცთუ კარგი ვარიანტია. პუტინიც სხვა ტაქტიკას აირჩევს. ბელარუსში ძლიერი პრორუსული ლობია. მოსკოვიც შეეცდება, რომ გაკოტრებული ლუკაშენკოს შემცვლელი ამ წრეებიდან იყოს.

ბელარუსის სახით მოსკოვს კიდევ ერთი პრობლემა მოემატა. ეს კი გავლენას იქონიებს როგორც რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე, ასევე მის პოზიციებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ექიმთან მიღებაზე მიმავალი პაციენტი მანქანით საავადმყოფოში შევარდა და ადამიანი იმსხვერპლა

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში პაციენტმა, რომელსაც ექიმთან მიღებაზე ეჩქარებოდა, საკუთარი მერსედეს-ბენცის ავტომობილის მართვა დაკარგა და დიდი სიჩქარით შევარდა საავადმყოფოში. ამ შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოთხი დაშავდა.

75 წლის მერი კლეიტონი ადგილობრივ საავადმყოფოში დილის მიღებაზე მიიჩქაროდა, რა დროსაც მანქანის მართვას თავი ვერ გაართვა და მძიმე ავტოსაგზაო შემთხვევა მოაწყო. სამედიცინო დაწესებულების სათვალთვალო კამერის ჩანაწერზე ჩანს, თუ როგორ ეჯახება კლეიტონის ავტომობილი საავადმყოფოსთან გაჩერებულ მანქანას და შემდეგ დაწესებულების სასწრაფო დახმარების განყოფილებაში იჭრება.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად 55 წლის კიმბერლი ჰოლი დაიღუპა, ხოლო კიდევ ოთხმა ადამიანმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს, მათ შორის, 29 წლის კაილინ ბეილიმ. მანქანის დაჯახების შედეგად მან თეძოს და ბარძაყის ძვლების მოტეხილობა მიიღო.

პოლიციას კლეიტონის მიმართ ბრალდება არ წაუყენებია, ვინაიდან ავარია წინასწარგანზრახული არ ყოფილა. ქალის სისხლში ალკოჰოლის ან ნარკოტიკის კვალი არ აღმოჩენილა.

– არ მესმის, ასეთი რამ როგორ შეიძლება? ის შემოვარდა საავადმყოფოში, სერიოზული დაზიანებები მომაყენა მე და კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მას სახლში მშვიდად ჯდომის და ცხოვრების ნებართვა მისცეს? – აღშფოთებულია ბეილი, – ყოველი დღე მძიმე გამოცდაა დაღუპულის ოჯახისთვის, ისევე, როგორც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

ბეილიმ დახმარებისთვის ადვოკატს მიმართა. მომხდარში ის ადანაშაულებს, როგორც კლეიტონს, ისე საავადმყოფოს ხელმძღვანელობას, რომელმაც დაწესებულების დაცვა დამცავი ჯებირით არ უზრუნველყო. პოლიცია საქმის გამოძიებას აგრძელებს, ხოლო თავად კლეიტონი მომხდარის კომენტირებაზე უარს აცხადებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სარაკეტო თავდასხმა ქაბულში

10 ადამიანი დაშავდა, მათ შორის არიან ბავშვებიც

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში განხორციელებული სარაკეტო თავდასხმისას მინიმუმ 10 ადამიანი დაშავდა, მათ შორის არიან ბავშვებიც.

ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის განცხადებით, თავდასხმასთან დაკავშირებით, ორი ეჭვმიტანილია დაკავებული. ამავე უწყების ბოლო ინფორმაციით, ქალაქის სხვადასხვა ნაწილში 14 რაკეტა ჩამოვარდა, რომლებიც ორი სატრანსპორტო საშუალებიდან ისროლეს.

– რაკეტების უმეტესობა ქაბულში საცხოვრებელ სახლებს მოხვდა. საბწუხაროდ, 10 სამოქალაქო პირი, მათ შორის 1 ბავშვი და 1 ქალი დაიჭრა, – აღნიშნეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

თვითმხილველთა ცნობით, რაკეტების ნაწილი ე.წ. მწვანე ზონის მახლობლად ჩამოვარდა, სადაც არაერთი ქვეყნის საელჩო და ნატო-ს ოფისი მდებარეობს.

აფეთქების შემდეგ დიპლომატიური რაიონი სასწრაფოდ ჩაიკეტა, ხოლო საელჩოების თანამშრომლები უსაფრთხო თავშესაფრებში გადაიყვანეს.

ფილიპინებში ძლიერ მიწისძვრას მსხვერპლი მოჰყვა

ფილიპინებში მომხდარი 6.6 მაგნიტუდის მიწისძვრის შედეგად სულ მცირე ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

მიწისძვრამ გზები და შენობები დააზიანა, მათ შორის საავადმყოფო და სპორტკომპლექსი, რომელიც კორონავირუსის საკარანტინო ცენტრად გამოიყენება.

მიწისძვრის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა.

ფილიპინების სეისმოლოგიური სააგენტოს განცხადებით, ცუნამის საფრთხე არ არსებობს, თუმცა სააგენტომ მიწისქვეშა ბიძგების შესახებ გაფრთხილება გამოსცა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის მსჯავრდებული კრიმინალისტიკის პროფესორი გახდა



დიდ ბრიტანეთში ყოფილმა ნარკოტიკებით მოვაჭრემ, სასჯელის მოხდის დროს, განათლება საპატიმროში მიიღო და კრიმინალისტიკის პროფესორი გახდა.

სტივენ აკპაბიო-კლემენტოვსკიმ მამა ადრეულ ასაკში დაკარგა და იმისთვის, რომ თავის გამოსაკვები ფული გამოემუშავებინა, ნარკოტიკებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ის დაუპატიმრეს და 16 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

პირველი სამი თვე ციხეში აკპაბიო-კლემენტოვსკი ციხეში არავისთან ურთიერთობდა, თუმცა შემდეგ სამზარეულოში დაიწყო მუშაობა და მეგობრებიც გაიჩინა. ციხის თანამშრომლებმა მისი სწავლის პოტენციალი დააფასეს და წაახალისეს, რომ დიდი ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტში დარეგისტრირებულიყო.

ბრიტანელმა გადაწყვიტა ბედი ეცადა, ვინაიდან ის განიცდიდა იმ ფაქტს, რომ თავის დროზე სკოლის მიტოვება მოუხდა. სხვა პატიმრებს და ციხის თანამშრომლების ნაწილს მისი წარმატების არ სჯეროდათ და აცხადებდნენ, რომ აკპაბიო-კლემენტოვსკის თავისი კრიმინალური წარსული ხელს შეუშლიდა.

მამაკაცი პატიმრობიდან შვიდ წელიწადში განთავისუფლდა. იმ დროისთვის მან თავისი პირველი ხარისხი მიიღო, მოგვიანებით კი მაგისტრის კიდევ ორი დიპლომი. განთავისუფლების შემდეგ აკპაბიო-კლემენტოვსკიმ მუშაობა დაიწყო, ის ციხეში სტუდენტებს კრიმინალისტიკის ლექციებს უკითხავდა.

მას იმედი აქვს, რომ მისი ისტორია სხვებისთვის სამაგალითო იქნება და ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნებაში დაეხმარებათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

სქოულზი სოლსკიაერს ტრანსფერებს ურჩევს



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა, ოლე გუნარ სოლსკიაერმა განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ არ იცის, როდის ან საერთოდ იქნება თუ არა გუნდში ტრანსფერები. ფაქტი ის არის, რომ ამისთვის ძალიან ცოტა დრო აქვთ. მიუხედავად ამისა, ნორვეგიელი სპეციალისტი ფიქრობს, რომ მანჩესტერი განვითარების მხრივ სწორ გზაზე დგას.

სოლსკიაერის ყოფილმა თანაგუნდელმა და მეგობარმა, პოლ სქოულზმა კი ახსნა, რომ ასეთი მიდგომა სწორი არ არის. მანჩესტერის ვეტერანმა ორ მნიშვნელოვან საკითხზე გააკეთა აქცენტი – ჯეიდონ სანჩოს ტრანსფერის აუცილებლობაზე და ვიქტორ ლინდელოფი მწვავედ გააკრიტიკა.

პოლ სქოულზი:

– თუკი გუნდს ტიტულების მოგება სურს, ფული უნდა დახარჯოს. სევილიასთან ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ რეალიზება ვერ შეძლეს. ვფიქრობ, სანჩო რომ მათ რიგებში ყოფილიყო, უფრო პროდუქტიულები იქნებოდნენ და მეტ გოლს გაიტანდნენ. მოედანზე იუნატედი უკეთესი გუნდი იყო და მოგებას იმსახურებდა, მაგრამ დაცვის თამაში იყო შოკისმომგვრელი.

გოლის მომენტში ლინდელოფი და მაგუაიერი წინა ძელისკენ გაიქცნენ, ფორვარდი კი ცარიელი დარჩათ, რაც ლინდელოფს უნდა დაენახა, მაგრამ თუკი ვან ბისაკამ შეამჩნია, რომ შვედს ეს მხედველობიდან გამორჩა, დე იონგის ასაყვანად ის უნდა გაქცეულიყო.

ამ გოლისას 4-ვე მცველის დადანაშაულება შეიძლება, მათ შორის ბრენდონ უილიამსისაც, რომლის ფლანგიდანაც ჩააწოდეს. მაგუაიერმაც ცუდად ითამაშა, მაგრამ მთავარ პრობლემა სწორედ ლინდელოფია. ეჭვი მაქვს, რომ ის მაგუაიერის კარგი პარტნიორი ვერასდროს იქნება. ბოლო 15-20 მატჩისას შვედის თამაში ძალიან კარგი იყო, მაგრამ ეს უფრო მაგუაიერის ხარჯზე ხდებოდა, რომელიც ლინდელოფის სისუსტეებს თავისი კარგი თამაშის ხარჯზე ფარავდა. გუნდმა ვიქტორ ლინდელოფის ნაცვლად უკეთესი ფეხბურთელები უნდა ეძიოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ნაქალაქარ გრემის სამეფო უბნის არქეოლოგიურად გამოვლენილი ნაგებობები ბულდოზერით ნადგურდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მოსილი. შემოღობილია მასზე აღმოსავლეთიდან მისადგომი მხარე: კერძო პირმა მეღვინეობა-სავაჭრო-კომერციული კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. ერთდროულად დარღვეულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე მუხლი.

ვიზუალურ მხარეს თავიც რომ დავანებოთ, ოდესმე, შთამომავლები ხომ დაანგრევენ ამ ხორცმეტს და ტაძარი თვალწარმტაც იერს დაიბრუნებსო, მშენებლობის ნებართვა გაცემულია ზედ გასულ საუკუნეში დიდი ძალისხმევით, არქეოლოგიური გათხრებით, მთელი ქართველი საზოგადოებრიობის სასიხარულოდ გამოვლენილი „სამეფო უბნის“ შემადგენელი, მრავალგზის გამოქვეყნებული ძეგლების შემცველ ფართობზე.

ორიოდე თვის წინ, ჩემ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე, სასამართლომ ზედ სატაძრო კომპლექსთან მიმდინარე ეს სამუშაო და მასზე გაცემული ნებართვა უკანონოდ ცნო, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება გაამართლა და მშენებლობა ფართო ფრონტით განახლდა.

უფრო მეტიც: ქართული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლების უხვად შემცველი, რეაბილიტაციამდე დროებით შენახული ქალაქ გრემის სამეფო უბნის მთელი ტერიტორიაც უკვე გასხვისებულია კერძო პირებზე, უახლოეს ხანებში კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად. ანუ, ცოტა ხანში ეს უბანი, მე-16 საუკუნის, უცხოელი ელჩების მიერ აღწერილი სასახლე-შადრევნების, „აკადემიის“ შენობის, ობსერვატორიის და სხვა უნიკალური ძეგლების ნაშთებით, მალე აღარ იარსებებს. სადღაც-სადღაც, ახალ არქეოლოგიურ სამუშაოებს ვუფინანსებთ გარკვეულ მეცნიერებს საბიუჯეტო თანხებითო.

როგორ დავიჯეროთ სერიოზული სახელმწიფო ინტერესი ასეთი კვლევების მიმართ, როდესაც 60 წლის წინ აღმოჩენილი სწორუპოვარი ძეგლების განადგურებას უწყობენ ხელს ჩვენ თვალწინ. ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?

სანამ გვიან არ არის, ქართველი საზოგადოებრიობა ერთ მუშტად უნდა შევიკრათ: ქართული ეროვნული სიწმინდე და სიამაყე, გრემის მთავარანგელოზთა სწორუპოვარი კომპლექსი ამ დანაშაულებრივად მიშენებული ხორცმეტით არ უნდა შეიბღალოს, ხოლო არქეოლოგიურად უკვე გამოვლენილ ნაქალაქარ გრემის მთელ ამ უბანს, საჩქაროდ უნდა დაუბრუნდეს სამუზეუმო-საგანმანათლებლო ფუნქცია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამხატვრო აკადემიას პირვანდელი სახე დაუბრუნდა

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიას რამდენიმეწლიანი სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, პირვანდელი სახე დაუბრუნდა. განახლებული სამხატვრო აკადემია სტუდენტებს ახალი სასწავლო წლიდან მიიღებს.

სამხატვრო აკადემიაში ჩატარებულ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებში წვლილი მიუძღვის ფონდი „ქართუს“ – 1,020 819 ლარით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს – 12 000 000 ლარით.

ორსაუკუნოვანი ისტორიის მქონე შენობაში რესტავრაცია ჩაუტარდა ცნობილ სარკეებიან და საგამოფენო დარბაზებს, დიდ ბიბლიოთეკას, აკადემიის ფონდებსა და საცავებს. სრულად აღდგა შენობის მთავარი ღირსშესანიშნაობა – თავის დროზე ირანელი ოსტატების მიერ შექმნილი სარკეებიანი დარბაზები, მოპირკეთდა და კეთილმოეწყო ეზო. ამ ეტაპზე სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს შენობის მოწესრიგება და ინტერიერის დასუფთავება.

ამჟამად მიმდინარეობს გრიბოედოვის №22-ში მდებარე აკადემიის ცენტრალური სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები, რომელიც 2021 წელს დასრულდება. პროექტის ბიუჯეტი კი 4 912 000 ლარს შეადგენს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ულიმღამო მატჩი უგოლოდ დასრულდა

სამტრედია-ლოკომოტივი 0:0

სამტრედია. ერესი მანჯგალაძე
სამტრედია: სიკაჩი, რუხაია, კილასონია, ახალაძე (დაფე 59), ჯგერენაია, თოთაძე, კვირკვია (ინკუმი 21), დისი, პავიშიჩი, თარგამაძე, იმნაძე

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, ანდრონიკაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, უბილავა, დარცმელია, შონია, სამურკასოვი (კირკიტაძე 55), იმრანი (გავაშელიშვილი 64), ძებნიაური (კობახიძე 55), სიხარულიძე

ეროვნული ლიგის მეათე ტურში სამტრედიასა და ლოკომოტივის მატჩი 0:0 დასრულდა.

ერთ-ერთი ყველაზე უცუდესი მატჩი ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მცირე უპირატესობას მასპინძლები კი ფლობდნენ, მაგრამ ეს არც გოლის გასატანად გამოდგა საკმარისი და არც ფეხბურთის ხარისხისთვის.

კარგი, ვთქვათ სამტრედიას თავისი მიზანი აქვს და ელიგაში დასარჩენად ყველა ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ლოკომოტივს რომ მაღალი მიზნები აქვს და უახლოეს დღეებში

ევროპის ლიგაზე უწევს თამაში?

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	10	5	5	0	18:6	20
2.დინამო (თბ)	10	5	4	1	16:4	19
3.დილა	9	4	4	1	14:6	16
4.საბურთალო	9	4	4	1	11:7	16
5.თელავი	10	2	7	1	9:6	13
6.ლოკომოტივი	10	3	4	3	11:14	13
7.ტორპედო	9	2	3	4	7:13	9
8.სამტრედია	10	2	3	5	7:16	9
9.ჩიხურა	9	1	2	6	7:16	5
10.მერანი	10	0	4	6	4:16	4

ინტერმა შახტარი გაანადგურა და ფინალში გავიდა

ინტერი-შახტარი 5:0

დიუსელდორფი. მერკურ შვილ-არენა
1:0 მარტინესი (19), 2:0 დამბროზიო (64), 3:0 მარტინესი (74), 4:0, 5:0 ლუკაკუ (78, 83)

ინტერი 10-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გავიდა ევროტურნირების ფინალში. აი, ანტონიო კონტეს გაწვრთნილი გუნდი (სადაც უმუშავია) კი, ფინალში პირველადაა.

შახტარმა კი თამაში ჩააგდო. განსაკუთრებით, მე-2 ტაიმი, სადაც გუნდი სრულიად მოშლილი იყო. ამ ყველაფერმა გამანადგურებელი შედეგი დააფიქსირა – 5:0 კონტეს გუნდის სასარგებლოდ.

ორჯერ შეაგდო ლუკაკუმ, რომელმაც ტურნირის ზედიზედ 10 მატჩში გაიტანა, რაც რეკორდია. სულ კი ტურნირზე 14 გოლი გაიტანა და 8 საგოლე პასი გააკეთა. ბოლო გოლზე კი, ჩვენებურ დავით ხოჭოლავას ისე ჩაუქროლა, ქართველმა მცველმა მისი შეჩერება ვერ მოახერხა.

მოინდომა ლაუტარო მარტინესმაც, ვინაც ასევე დუბლი შეასრულა, ერთხელ კი თავი დამბროზიომ გამოიჩინა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლაუტარო მარტინესი

არგენტინელმა მთავარი საქმე გააკეთა – ანგარიში გახსნა, ხოლო მისი მე-2 გოლის შემდეგ, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყდა. საერთოდაც ძალიან მონდომებული იყო, კარგად მუშაობდა მცველებზე, პრესინგზე და შეტევაც კარგად გამოსდიოდა.

დავით ხოჭოლავა:

– კარგი გზა გავიარეთ, მაგრამ ამ წაგების გამო ყველაფერი წყალში



ჩაიყარა. ვერ ვიტყვი, რომ ანგარიში თამაშის შესაბამისია, მაგრამ მათ ჩვენი შეცდომებით ისარგებლეს. უფრო შახტარმა ვერ აჩვენა თავისი საუკეთესო თამაში, ვიდრე ის, რომ „გადაგყლაპეს“. შეტევაშიც უკეთ შეგვეძლო მოქმედება და დაცვაშიც. მეორე ტაიმმა ფსიქოლოგიურად გაგვანადგურა. წინ გავიქეცით და გავიხსენით. მათ გიჟი თავდამსხმელები ჰყავთ. ძნელია მათთან ერთი-ერთზე თამაში. ამიტომაც კიდევ გავუშვით გოლები. პირველ გოლამდე კარგად ვმოქმედებდით. უფრო ფლანგებიდან ვთამაშობდით, განაპირა მცველები კარგად იდგნენ, შეტევებს იწყებდნენ. განსაკუთრებით სახიფათო მომენტების შექმნა ვერ მოვახერხეთ. პირველმა გოლმა თამაში გატეხა. ეს კარგი ევროსეზონი იყო – უკრაინისთვის ქულები მოვიპოვეთ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ᲛᲐᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.

ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

დინამო წყალბურთში საქართველოს ჩემპიონია

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს 2019-20 წლების ჩემპიონატი. პირველი წრე ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გაიმართა და მედლებისთვის ბრძოლა 6-მა გუნდმა დაიწყო. წლეულს კი პანდემიის გამო წყალბურთელებმა 5 თვე იუქმეს. მხოლოდ ამ თვეში მიეცათ უფლება, აუზში ევარჯიშათ, შემდეგ კი, მე-2 წრის შეხვედრებიც გამართეს.

შექმნილი მდგომარეობის გამო, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატი 4 წრის ნაცვლად მე-2 წრის შეხვედრებით დასრულდა.

ჩემპიონობის ბედი დინამო 1-სა თბილისის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. მატჩი თბილისის უპირატესობით დაიწყო და ანგარიში ჯახაიამ გახსნა. ბაღათურიამ მალევე წონასწორობა აღადგინა. მერე მესხისა და სამყურაშვილის გოლებს ადეიშვილმა ერთი ბურთით უპასუხა – 2:3.

მე-2 პერიოდში დინამოს უპირატესობა აშკარა იყო და მეტოქის კარი ხუთჯერ აიღო, რასაც თბილისელთაგან მხოლოდ 2 გოლი მოჰყვა. მე-3 პერიოდში ანგარიშში სხვაობა არ შეცვლილა, რადგან გუნდებმა 3-3 გოლი გაიტანეს.

ბოლო პერიოდში დინამოელებმა ისევ იმძლავრეს, 6:1 მოიგეს და საბოლოოდ 7-ბურთიანი სხვაობით გაიმარჯვეს

– 16:9, რის შემდეგაც უახლოეს მდევარს 6 ქულით გაუსწრეს და ჩემპიონობა შეინარჩუნეს.

საბოლოო შედეგები:

1.დინამო 1 (30 ქულა), 2.თბილისი (24), 3.არენა (12), 4.ლოკომოტივი (9), 5.დინამო 2 (9), სპორტმენეჯმენტი (6).

ჯიმი ტაბიძე ნაკრებში თამაშს მარტიდან ელოდება

რუსულმა მედიამ უფას წლის შედეგების შეჯამებისას სეზონის ფეხბურთელად სწორედ საქართველოს ნაკრების 24 წლის მცველი დაასახელა:

– ჯიმი ტაბიძე ახლახან დასრულებულ სეზონში გუნდის საუკეთესო მოთამაშეა – 25 მატჩი ჩაატარა, 1 გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი გააკეთა. ტრადიციულად, უფას დაცვის ლიდერად მირჩა ნედელჩარუ ითვლებოდა. მაგრამ მან მატჩების მესამედი გამოტოვა, ხოლო მისმა პარტნიორებმა პროგრესი აჩვენეს. განსაკუთრებით ქართველის წარმატებაა თვალშისაცემი. ტაბიძეს ყოველთვის ჰქონდა კარგი მონაცემები, მაგრამ საკუთარი თავის სრულად წარმოჩენაში ხელს სულელური ინდივიდუალური შეცდომები და ტრავმები უშლიდა. ის შთამბეჭდავია თავდაუზოგავი თამაშითა და ორთაბრძოლების უნარით. სეზონის მიმდინარეობისას დიდი პროგრესი განიცადა.

ტაბიძის პროგრესის გამო, მის მიმართ რუსული მედიის ინტერესი ძალიან გაიზარდა. ახლა ქართველი მცველის მომავალზე ფსონებს ტოტალიზატორებშიც იღებენ...

– ახლახან, შამილ გაზიზოვი მოსკოვის სპარტაკის გენერალური დირექტორი გახდა. ადრე ეს მენეჯერი მუშაობდა უფას საფეხბურთო კლუბში. რა თქმა უნდა, ჭორები უცებ გავრცელდა უფელი ფეხბურთელებით მოსკოვური კლუბის დაინტერესების შესახებ.

ტოტალიზატორები უკვე იღებენ ფსონებს იმის თაობაზე, გადავლენ თუ არა უფას მოთამაშეები ამ ზაფხულს სპარტაკში. ანალიტიკოსების აზრით, ეს ასეც იქნება. გავრცელებული ხმებით, სპარტაკი“ დაინტერესებულია ფომინის, ნედელჩარუსა და ტაბიძის დამატებით.

ჯიმი ტაბიძე:

– ჩემპიონატი სტაბილურად ჩავატარე და, რა თქმა უნდა, ასეთი შეფასება ძალიან მახარებს. თითქმის ყველა მატჩში 90 წუთი ვითამაშე და ეს დიდი გამოცდილებაა, რომელიც შემდეგ თავდაჯერებაში გადადის. ამ ნდობისთვის მწვრთნელის, ვადიმ ევსეევის მადლიერი ვარ.

ჩემი აღიარება მოულოდნელიც კი იყო, რადგან პრემიერლიგაში ძალიან ბევრი მაღალი დონის მცველია. რაც შეეხება სპარტაკში გადასვლას, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. საერთოდ, ამ ამბავზე დიდი ინფორმაცია არ მაქვს...

საქართველოს ნაკრები? მარტიდან მოყოლებული, ამ თამაშს მოუთმენლად ველით. მართალია, მატჩი ოქტომბერში დაინიშნა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვართ დარწმუნებულები, რომ ზუსტად ამ დროს ჩატარდება. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი, რომ ყველა ფეხბურთელი ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადება...

ამერიკის ღია პირველობას ვარსკვლავები აიგნორებენ

ქალთა მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო ათეულიდან სიმონა ჰალეპი მეექვსეა, რომელმაც ამერიკის ღია პირველობაზე არ ითამაშებს. 28 წლის რუმინელმა გასულ კვირას პრაღის ტურნირი მოიგო და უახლოეს პერიოდში მხოლოდ ევროპაში გასამართ გათამაშებებზე მონაწილეობას გეგმავს. ერთ-ერთი ასეთი იქნება „როლან გაროსი“, რომელიც 27 სექტემბრიდან დაიწყება.

ჰალეპის გარდა, ამერიკას გასული წლის ჩემპიონი ბიანკა ანდრეესკუ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ეშლი ბარტი, ასევე კიკი ბერტენსი, ბელინდა ბენჩიჩი და ელინა სვიტოლინა გამოაკლდნენ.

სამაგიეროდ, ნიუ იორკის უმაყურებლო კორტებზე სერენა უილიამსს, ნაომი ოსაკას და კაროლინა პლიშკოვას ვიხილავთ.

ამერიკის ღია პირველობის წლევანდელი გათამაშება 31 აგვისტოდან დაიწყება.



მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲭᲘᲥᲘ Ბ



შვეულად: 1. მადნის, ნახშირისა და სხვა ნივთიერებების ნარევი ლითონის გამოსადნობად; 2. მუზეუმი პარიზში; 3. ქართული სანადიმო სიმღერა; 4. პატარა რესტორანი; 5. ქართული სამშენებლო კომპანია; 6. მუდმივი მყიდველი; 9. დაავადების ან მისი ნიშნების დამალვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. საწვავი სითხე; 16. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების შემსწავლელი გერმანელი ასტრონომი; 20. ღვინის დიდი ქვევრი; 23. ესკალატორის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 24. კათოლიკური ჯვარი; 25. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 26. ირლანდიური ცეკვა.

თარაზულად: 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. ფულის ერთეული სომხეთში; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. საელჩოებისა და საკონსულოების თარჯიმანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პომოლოგია; 2. ჰუდზონი. 3. ნაზუქი; 4. ბურგი; 5. არაგვი; 11. სხალთა; 12. კონერი; 4. ნანა; 16. რუსთავი; 17. სლალომი; 19. სეკანსი; 21. მონჟი; 22. ვარნა.

თარაზულად: 6. მოლეკულა; 7. პაუპერი; 8. გროგი; 9. კლიჩკო; 10. ქაოსი; 13. სიონი; 15. გრენლანდია; 18. მატროსი; 20. ლელა; 21. მანათი; 23. პინკერტონი; 24. მირაჟი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აორტა; 2. წაბლი; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ანჩისხატი; 14. ფეტვი; 16. არიბა; 18. კრაკოვი; 20. დარიალი; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

თარაზულად: 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. ონისე; 15. დუომო; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. პასტორალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0686

ევრო — 3.6381

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0223

100 რუსული რუბლი — 4.1742

ამინდის პროგნოზი 19 აგვისტოსათვის

ტერ შტეგენი ტრავმის გამო 2 თვეს გამოტოვებს

ბარსელონას გერმანელი მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენი მუხლის ტრავმის გამო 2 თვეს გამოტოვებს. შესაძლოა მას ოპერაციაც კი დასჭირდეს, თუმცა ამაზე კონკრეტული საუბარი არ მიმდინარეობს.

ტერ შტეგენს ტკივილები ბაიერნის მატჩამდეც აწუხებდა და მისი არადამაჯერებელი თამაში შესაძლოა ამის ბრალიც იყოს. მოედანზე გერმანელი მეკარე, სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებში დაბრუნდება, თუმცა ეს, შესაძლოა, უფრო ადრეც მოხდეს.

ჯო ჰარტი ტოტენჰემში გადავიდა

მანჩესტერ სიტის ყოფილი მეკარე ჯო ჰარტი ლონდონის ტოტენჰემში გადავიდა და 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ამ გუნდთან. ჰარტის ბოლო კლუბი ბარნლი იყო, სადაც მან რამდენიმე სეზონი გაატარა. მანამდე კი ჰარტი ცნობილი მანჩესტერ სიტიში გახდა.

ამ კლუბში მან ორჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი, თუმცა საბოლოოდ გვარდიოლასთან კონფლიქტის გამო გუნდი დატოვა.

ტოტენჰემში ჰარტი, სავარაუდოდ, მეორე მეკარე იქნება, ლორისის შემდეგ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

უპატრონო კატა პოლიციის განყოფილების თილისმად იქცა

იტალიის ქალაქ ტურინში უსახლკარო, მაწანწალა კატა პოლიციის განყოფილების თილისმა გახდა. ცხოველი იქვე, შორიახლოს ბინადრობდა და ერთხელაც სამართალდამცავებმა ის განყოფილებაში შეიპატიჟეს. მას შემდეგ ცხოველმა იქ დაიდო ბინა.

კატა ფელიქსის დღის განაწესი მთელი განყოფილებისთვის ცნობილია. ის ოფისში 10:30 საათზე გამოჩნდება და მაშინვე პატარა კარადისკენ მიემართება, სადაც პოლიციელები მისთვის განკუთვნილ საკვებს ინახავენ. სადილობის შემდეგ ფელიქსი კმაყოფილების ნიშნად კრუტუნებს, შემდეგ კი ან სასეირნოდ მიდის, ან ისვენებს.

თავად სამართალდამცავთა თქმით, მათ უკვე გაიარეს ფელიქსის ნდობის ტესტი. მაწანწალა კატა მათ თავისიანად თვლის და მოფერების უფლებასაც აძლევთ.

მამაკაცმა მოლარის რჩევა გაიზიარა და ნახევარი მილიონით გამდიდრდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის დიკინსონის ოლქის მკვიდრმა ყურად იღო მოლარის რჩევა და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

73 წლის ამერიკელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გადაწყვიტა ლატარიის გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა და ბილეთი შეეძინა.

– ჯიბეში ხუთი დოლარი მედო და მოლარს ვთხოვე, ჩემთვის ლატარიის ბილეთი შეერჩია, – იხსენებს ხანდაზმული მამაკაცი.

მოლარემ მას მომენტალური ლატარიის ბილეთის ყიდვა შესთავაზა. მამაკაცმა ადგილზევე შეამოწმა გათამაშების შედეგები და შეიტყო, რომ ნახევარი მილიონი დოლარით გამდიდრდა.

ლატარიის გამარჯვებული აპირებს, მოგებული თანხის ნაწილი ოჯახს გაუნაწილოს, ხოლო დანარჩენი თანხის ინვესტირებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 აგვისტოსათვის

ვერძი – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ახალგაზრდა თავისი მეგობარი გოგონას მამას ეუბნება:

– მართალია კარგად მესმის, რომ ეს წმინდა წყლის ფორმალობაა, მაგრამ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თუ თქვენი ქალიშვილის ხელს გთხოვთ?

– ვინ გითხრათ, რომ ეს მხოლოდ „ფორმალობაა“? – ეკითხება პასუხად გოგონას მამა.

– გინეკოლოგმა...!!!

●●●

ორი ხანდაზმული მეგობარი მაგიდასთან ზის და საუბრობს, მასპინძლის ცოლი კი სამზარეულოში ფუსფუსებს. ამ დროს ერთი მეორეს ეკითხება:

– რამდენი ქალი გყავდა ცხოვრებაში?

მეგობარი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ამაყად, თუმცა ხმადაბლა უპასუხა:

– 25!

ამ დროს სამზარეულოდან ცოლმა ქმარს გამოსძახა:

– ძვირფასო, იმას კი არ გეკითხება, რამდენჯერო, არამედ რამდენი გყავდაო!

●●●

ახალგაზრდა ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როდესაც მამაკაცთან ოთახში მარტო ვრჩები, სულ სექსი მინდება. რა ჰქვია ამას?

– მაგას ბედნიერი შეხვედრა ჰქვია, – უპასუხა ექიმმა და შარვლის გახდა დაიწყო.

●●●

ორი თანამდებობის პირი ძვირადღირებულ კურორტზე ისვენებს. პლაჟზე წვანან. ამ დროს ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ზოგჯერ ღამით თავში მაგარი იდეები მომდის და ამიტომ საწოლის გვერდით ყოველთვის ბლოკნოტი და საწერკალამი მიდევს.

– მე კი მაგისთვის გვერდით მდივანი მიწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სუხიშვილები კონცერტებს ღია ცის ქვეშ გამართავენ

სუხიშვილების მოცეკვავეები კონცერტებს ღია ცის ქვეშ გამართავენ.

„არტეფაქტები“ – ასე უწოდა ილიკო სუხიშვილმა ქართული ნაციონალური ბალეტის ახალ პროექტს, რომელიც 21 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით ნაფეტვრებში სპეციალურად მოწყობილ სცენაზე იქნება წარმოდგენილი.

„არტეფაქტები“ ხალხური ცეკვის თანამედროვე ხედვა და ქორეოგრაფიაა. შეიგრძენით ახალი ემოციები და ისიამოვნეთ „ცეკვა ქართულით“ „სუხიშვილებთან“ ერთად! – ასეთია კონცერტების ორგანიზატორთა მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი.

ზუზუ ბეჟაშვილის გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა

მსახიობის ზუზუ ბეჟაშვილის გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა. ახალგაზრდა მსახიობი გარდაცვლილი ლიფტში ნახეს. ზუზუ მეგობარმა თამარ უტიაშვილმა გაიხსენა:

– გაიელვა და ჩაიფერფლა. თუმცა, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, თავისი ინდივიდუალურობით, ნიჭიერებითა და გულწრფელობით მაყურებლის გულშიც დაიმკვიდრა ადგილი და ამქვეყნიდან თან სიყვარული და დიდი გულისწყვეტა წაიყოლა.

მსახიობ ზაზა, ახლობლებისთვის ზუზუ ბეჟაშვილს ხან დასტინ ჰოფმანს, ხანაც ალ პაჩინოს ადარებდნენ. აზერბაიჯანული კინოს ამომავალ ვარსკვლავსაც უწოდებდნენ – ქართულ-აზერბაიჯანულ ფილმში „განყოფილება“ ითამაშა და კვიპროსის მეექვსე საერთაშორისო კინოფესტივალზე, ამ ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს აფროდიტე“ გადაეცა.

ქართველმა მაყურებელმა გაიცნო ფილმიდან „გოგონა სლაიდიდან“, პოპულარობა და სიყვარული კი ტელესერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ერთ-ერთი დაქალის – კატოს ყოფილი ქმრის, ნიკუშას როლმა მოუტანა.

სხვა პროფესია არასოდეს ნდომებია. ერთადერთი, სიმღერა უყვარდა ძალიან. ერთ-ერთი ინტერვიუს ჩაწერისას მითხრა: „სიმღერა ყველაზე კარგი საშუალებაა შენი გრძნობების, შენი მდგომარეობის გამოსახატავად“. და მღეროდა.

ოცნებად კი, შემოქმედებითი თვალსაზრისით, თეატრში რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან მუშაობა დარჩა.

ფილმი „შინდისი“ 20-ზე მეტ ქვეყანაში აჩვენეს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე გადაღებული ფილმი „შინდისი“ 20-ზე მეტ ქვეყანაში აჩვენეს.

რეჟისორ დიტო ცინცაძის ფილმის თავისუფალი ჩვენება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ინფორმაცია ფილმის პროდიუსერმა ედმონდ აბაშიძე მინაშვილმა გაავრცელა:

– მხატვრული ფილმი „შინდისი“ ნაჩვენები იქნა 20-ზე მეტ ქვეყანაში, რაც მთავარია, ყველა სეანსი იყო თავისუფალი, ანუ აბსოლუტურად უფასო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ და ასევე ემიგრანტმა ნახოს საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ფილმის შექმნის მთავარი მიზანიც ეს იყო!

„ისტორია, რომელიც უნდა გვახსოვდეს“ – ეს არის გზავნილი მსოფლიოსთვის და თითოეული მაყურებლისთვის, რომელიც ფილმს ნახავს.

თბილისში კი „შინდისი“ ლისზე „კავეას“ დრაივ-ინ კინოთეატრში საქველმოქმედო დატვირთვით იყო შესაძლებელი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნაქალაქარ გრემის სამეფო უბნის არქეოლოგიურად გამოვლენილი ნაგებობები ბულდოზერით ნადგურდება

ამის შესახებ ინფორმაცია და ფოტოები პროფესორმა ნოდარ ბახტაძემ გაავრცელა:

– აი, ამ ღობის მიღმა, ანუ ზედ მთავარანგელოზთა ეკლესიის მიმდებარე, აშკარად უკანონოდ დაუფლებულ მიწის „ნაკვეთზე“, ღვინის მარნის და სასტუმროს მშენებლობის ნებართვით აღჭურვილი კერძო მესაკუთრე, ნაქალაქარ გრემის სამეფო უბნის არქეოლოგიურად გამოვლენილ ნაგებობებს ბულდოზერით ანადგურებს. თანაც, მკვრივი ქანების ბურღვისას, ვიბრაციისგან ტაძარში ფრესკებიც იფშვნება და ცვივაო, ჩივიან მღვდელმსახურები.

„სირცხვილი იმ გუთნისდედას, მამა-პაპის საფლავს ხნავდეს“... ეს ჩვენი საამაყო, გრემის მთავარანგელოზთა სატაძრო კომპლექსია, ოღონდ ძაძებით

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. კუჭნაწლავის ნორმალური მოქმედების დარღვევა; 2. ამერიკელი ავტოკონსტრუქტორი; 3. სატუსაღოს ძველი სახელწოდება; 4. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 5. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. საჭმელი სოკო; 12. მესხების, გურულებისა და აჭარლების მოკლე ჩოხა; 14. ქართული საბავშვო ჟურნალი; 16. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 17. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. ბაღბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ჩეხური საავტომობილო ფირმა.

თარაზულად: 6. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 7. ახალი წლის სახელწოდება გერმანიაში; 8. გემების სადგომი ნავსადგურში; 9. პოპულარული კურორტი იტალიის ალპებში; 10. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ოსური ცეკვა; 15. ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი; 18. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 20. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. მთა თბილისში; 23. კუთხის ორ თანაბარ ნაწილად გამყოფი სწორი ხაზის მონაკვეთი გეომეტრიაში; 24. პატარა მონაკვეთი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა